ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 22 ნოემბერი 2003 №223 (1994) ფასი 50 თეთრი





# დიახ, იანინას მეპატრონე მე ვარ!

# ქართველმა ბიზნესმენმა ბერძნული კლუბი იყიდა



*ქართველმა ბიზნესმენმა ჯონი გიგანმა გუშინწინ ბერძნული საფეხბურთო კლუბი „იანინა" იყიდა.*

*– დიახ, „იანინას" მეპატრონე მე ვარ, ყველა საბუთი გაფორმებულია – გვითხრა საბერძნეთიდან ახალდაბრუნებულმა ჯონი გიგანმა.*

*დაგვეთანხმებით, ქართულ ფეხბურთში ეს უნიკალური მოვლენაა, უცხოურ კლუბს, ბერძნული საზომებით ტრადიციულსა და სახელიანს, ქართველი დაეპატრონა*

ჯონი გიგანი — კონცერნ „მორკინალის" დამფუძნებელი და პრეზიდენტი. მისი სახელი ქართულ საფეხბურთო სამყაროში უცხო არაა. ის პატრონობდა ერთ დროს ქვეყნის უმაღლეს ლიგაშიც მოთამაშე „მორკინალს". ჯონი გიგანს თავისი წილი იურიდიული პრეტენზიები აქვს თბილისის „დინამოზეც" და ეს საქმე დღესაც სასამართლოშია.

„იანინას" ყიდვის ამბავი გუშინ შევიტყვეთ. ჯონი გიგანი რამდენიმე დღით საბერძნეთში იყო, მისი იქ ყოფნის მიზეზი ბევრმაც არ იცოდა. მას „იანინას" აწ უკვე ყოფილ პრეზიდენტთან მანტოს კოლემბასთან ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდა, რაც საბოლოოდ ასე დამთავრდა — გიგანმა „იანინას" აქციათა საკონტროლო პაკეტი, 51 პროცენტი იყიდა. რამდენად, ეს არავის უთქვამს, არც თავად გიგანს, საკითხი კონფიდენციალურიაო.

საბერძნეთში კი გაკვირვებულნი არიან. გუშინ რედაქციაში რამდენიმე ჩვენი ბერძენი კოლეგა დაგვიკავშირდა და ჯონი გიგანზე ინფორმაცია გვთხოვა. ბერძნულ ტელეარხებს იქაურ ფეხბურთში ქართველის გამოჩენის ამბავი არაერთხელ უთქვამთ, აჭრელებულა პრესაც. ქალაქი იანინა ქართველი ბიზნესმენის ვინაობას კითხულობს, გიგანს „ჩელსის" რუს მეპატრონე აბრამოვიჩსაც ადარებენ. უკვირთ, გალატაკებულ ქვეყანაში მოსაქმიანეს საიდან აქვს კლუბის საყიდელი ფული. ბერძენი კოლეგების თქმით, მანტოს კოლემბასს „იანინა" დაღუპვის პირას მიუყვანია. მის ხელში ეს კლუბი ვალებში ჩაფლულა და უმაღლესი ლიგიდანაც გავარდნილა. სწორედ ეს ყოფილა მიზეზი, რომ „იანინას" პრეზიდენტმა საკონტროლო პაკეტი გაყიდა, ხოლო საიდან დაუკავშირდა ის ქართველ ბიზნესმენს, უცნობია.

ბერძნებისგან შევიტყვეთ ისიც, რომ „იანინას" ახალი პატრონები კლუბის გაძლიერებას ქართველი ფეხბურთელებით აპირებენ: ლევან ქებაძე, ალეკო გოგობერიშვილი, გიორგი ყიფიანი გიგანის კლუბში შესაძლოა, იანვრიდან ვიხილოთ.

თავად ჯონი გიგანმა კი, რომელსაც გუშინ ვესაუბრეთ, გვითხრა, რომ „იანინას" მწვრთნელად ელგუჯა გუგუშვილის დანიშვნაზე ფიქრობს, თუმც ეს და სატრანსფერო საკითხები მოლაპარაკების ფაზაშია. გიგანსა და მის პარტნიორებს ასევე სურთ, რომ რამდენიმე ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი „იანინას" მეორე გუნდშიც წაიყვანონ. აქვე ვთქვათ, რომ კლუბ „იანინას" მთავარის გარდა ჰყავს მეორე და სამიც ბავშვთა გუნდი. ქალაქში კი 360 ათასი მოსახლეა.

ახლა კი ჯონი გიგანი — საფეხბურთო კლუბ „იანინას" პატრონი და პრეზიდენტი.

— ფეხბურთის მოყვარული კაცი ვარ და ეს ნაბიჯიც ამიტომ გადავდგი. ნუ მკითხავთ, კლუბი რამდენ მილიონად ვიყიდე, მთავარი ისაა, რომ ქართული ფეხბურთისთვის კარგი საქმე გავაკეთე. ჩვენ ნაბიჯი გადავდგით ევროპის საფეხბურთო ბაზრისკენ, ეს კი ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის სასარგებლო იქნება.

— „იანინას" საიდან, როგორ დაუკავშირდით?

— მომწონს იანინა, 4 ათასი წლის ქალაქია და ვიყიდე კიდეც ამ ქალაქის გუნდი.

— თქვენი გუნდი ამჟამად ქვეყნის ჩემპიონატის პირველ ლიგაშია, თანაც ცხრილის ბოლოში. „იანინას" ხელს მალე დაატყობთ?

— ვნახოთ, უმაღლეს ლიგაში წლეულსვე თუ ვერ ავინაცვლებთ, გაისად ამას აუცილებლად გავაკეთებთ. ჩემი ხელი კი კლუბს მალე დაეტყობა.

— გავიგეთ, ქართველი ფეხბურთელების წაყვანასაც აპირებთ...

— ვაპირებთ, მაგრამ დღეს ზუსტად ვერაფერს გეტყვით. ფაქტი ისაა, რომ ქართულმა ფეხბურთმა ევროპის კარი შეაღო. საბერძნეთში საკმაოდ მაღალი დონის ჩემპიონატია, თუნდაც ის რად ღირს, რომ სამი ბერძნული გუნდი ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს, სამიც — უეფას თასზე იყო. საბერძნეთში ჩვენი ფეხბურთელების ოსტატობა საგრძნობლად ამაღლდება.

აი, ასეთი ამბები და კიდევ:

კლუბის პრეზიდენტი თავად ჯონი გიგანია, ვიცე-პრეზიდენტი — მისი პარტნიორი — მანტოს კოლემბასი, მენეჯერი კი დავით ქარაული. კლუბის სხვა სტრუქტურული ამბები ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია.

**ქობა ინასარიძე**

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XIII ტური

ლიუბეკი 2:2 ბურგჰაუზენი
დუისბურგი 0:1 მაინცი
უნიონი 2:0 ოსნაბრიუკი
არმინია 1:1 აუე

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XVII ტური

ვატენშაიდი 1:1 მიუნსტერი
ესენი 3:0 ლაიპციგი

სამხრეთ რეგიონალლიგა XVII ტური

შვაინფურტი 1:1 ზაარბრიუკენი

## ირლანდია

პრემიერლიგა. XXXV ტური

სენტ პატრიკსი 0:0 დუბლინი
შელბურნი 2:0 კორკ სიტი
დროჰედა 2:0 ბოჰემიანსი
ლონგფორდი 0:1 უოტერფორდი

## ჰოლანდია

I დივიზიონი. XII ტური

ვალვაიკი 1:1 გრონინგენი

II დივიზიონი. XVI ტური

დორდრეხტი 0:3 ვენლო
სიტარდი 1:3 ოსი
იგლსი 2:2 აპელდორნი
ჰაარლემი 1:3 ექსელსიორი
ჰელმონდი 3:0 ტელსტარი
მაასტრიხტი 3:4 ემენი
დენ ბოსხი 6:2 ეინდჰოვენი
სპარტა 1:2 ჰერაკლესი

## უკრაინა

თასის 1/4 ფინალი
საპასუხო მატჩი

ტავრია 1:2 *დნეპრო* (1:4)

## ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XV ტური

სლავია 0:1 ბუდეიოვიცე

## ბელგია

იუპილერლიგა. XIII ტური

მონსი 0:2 ანდერლეხტი
ბეერსხოტი 2:0 ბრიუგე

II კლასი. XIV ტური

რუზელარე 2:0 ოსტენდე

## ავსტრია

I დივიზიონი. XX ტური

კაპფენბერგი 0:0 რიდი
ლინცერი 2:3 ვიორგლი
ბლაიბერგი 2:2 აუსტრია (ლ)

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XIV ტური

ლიონი 1:0 სტრასბური

თასის VII ეტაპი

*ამიენი* 1:0 სედანი

## სერბეთი

პრვა ლიგა. XIV ტური

პარტიზანი 3:1 რადნიჩკი

---

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი
პირველი ეტაპი

# 19 ტური

თბილისი. 22 ნოემბერი. 15 საათი. ლოკომოტივი

## ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია

**მსაჯები:** მ. მალალურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შილაკაძე (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ჭელიძე; **დირექტორი:** დ. რამიშვილი

**ტრავმირებულნი:**
სოსო გრიშიკაშვილი, ზაზა ზამთარაძე, რონ ონიანი
თენგიზ კობიაშვილი

*მე-19 ტური ორ დღედ გაიწელა და დღევანდელი „ლოკომოტივი" —„ვიტ ჯორჯია" ტურის ერთ-ერთი გამორჩეული მატჩია. გუშინ „ლოკომოტივის" საპერსკონფერენციო დარბაზში ჟურნალისტების წინაშე მეტოქე გუნდების მწვრთნელები და „ლოკომოტივის" კაპიტანი დავით სირაძე წარდგნენ*





***ლუის ცაკარიასი**, „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი:* „ვიტ ჯორჯია" ძლიერი მეტოქეა. ჩვენი გუნდიც ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს და სანახაობრივი მატჩი უნდა გამოვიდეს.

***ზურაბ ბერიძე**, „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი:* ორივე გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მატჩია — ჩვენ ექვსეულში დასამკვიდრებლად ვიბრძვით. ძნელი თამაში იქნება.

***დავით სირაძე:*** ეს ტურის ერთ-ერთი ცენტრალური თამაშია და ვფიქრობ, ის მოიგებს, ვისაც ბედი გაუღიმებს.

— რა ფაქტორი იქნება გადამწყვეტი ამ მატჩში?

*ცაკარიასი:* ვინც მეტ გოლს გაიტანს, ის მოიგებს. წინა ტურში „კოლხეთთან" ჩვენ ისე ვერ ვითამაშეთ, როგორც მანამდე „ტორპედოსთან". ახლა კი ისევე გამოვავლენთ ჩვენს საუკეთესო თვისებებს, როგორც ეს ქუთაისელებთან მოვახერხეთ.

— „ვიტ ჯორჯიას" ფლანგებზე სწრაფი ფეხბურთელები ჰყავს, რითაც სისწრაფეში უპირატესობა აქვს. რას დაუპირისპირებთ ამას?

*ცაკარიასი:* მეტოქე ისე სწრაფად ითამაშებს, რამდენადაც შენ მისცემს ამის საშუალებას. მჯერა, რომ „ლოკომოტივსაც" აქვს თავისი ძლიერი მხარეები და მათ გამოვიყენებთ კიდეც.

— „ლოკომოტივის" კოზირი მეორე სართულზე კარგი თამაშია — ამ გუნდს თავით ბევრი გოლი გააქვს...

*ბერიძე:* ეს კარგად ვიცით და მეტოქეს იმას დავუპირისპირებთ, რომ თავით კარგად ველარ ითამაშოს.

— საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე რას იტყოდით?

*ცაკარიასი:* არ მსურს პოლიტიკაზე რაიმე კრიტიკული განცხადების გაკეთება, მაგრამ ის კი საწყენია, რომ საქართველოს ნაკრებს კარგი ფეხბურთელები ჰყავს და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდა. არა მგონია, რომ შვეიცარიას თქვენზე უკეთესი ფეხბურთელები ჰყავდეს. რაც შეეხება პოლიტიკურ სიტუაციას, პერუში პოლიტიკური დაძაბულობა 15 წელი გრძელდებოდა. თქვენ ახალგაზრდა ქვეყანა ხართ და ალბათ დროა საჭირო, რათა პოლიტიკური ვითარება დალაგდეს.

*ბერიძე:* ქართველ პოლიტიკოსებს მოვუწოდებ, მინდორზე გავიდნენ და თერთმეტი-თერთმეტზე ფეხბურთი ითამაშონ.

**დავით თავართქილაძე**

ბოლნისი. 22 ნოემბერი. 15 საათი. თემურ სტეფანია

## სიონი — დინამო

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ნ. რუსიშვილი, კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი); ა. ორდინიძე (ონი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე; **დირექტორი:** ს. კოტრიკაძე





**დღეს** ბოლნისში ლიდერთა დაპირისპირებაა. „სიონი" „დინამოს" მასპინძლობს. საამმატჩოდ გუშინ პრესკონფერენცია გამართა თბილისელთა თავკაცმა ივო შუშაკმა. ხორვატი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დღევანდელ თამაშს. ჩვენ ნებისმიერ მატჩში მოსაგებად გავდივართ, მაგრამ „სიონი" შინაურ სარბიელზე დიდი წინააღმდეგობას გაგვიწევსო, თქვა შუშაკმა.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე დღეს მოსალოდნელ აქციებზეც ითქვა, ქალაქში დიდი ვნებათაღელვა იქნება და ემანდ ბოლნისში ჩასაღწევად ხელი არ შეგვეშალოსო.

*ივო შუშაკი* რომ ერთობ მოწადინებულია მოსაგებად, ცხადია.

— თუ გავიმარჯვეთ, ფაქტობრივად, პირველ ეტაპს მოვიგებთ, ამას სატურნიროსთან ერთად დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც აქვს. ამიტომ „სიონს" უნდა მოვუგოთ.

სადღეისოდ შუშაკს არ ეყოლება კარლოსი. მას ძველი ტრავმა გაუმიზეზდა. დაშავებულები არიან და გუშინ მსუბუქად ივარჯიშეს ბურდულმა, კანდელაკმა და კვირკველიამ. ამათი ბოლნისში თამაში სათუოა.

„სიონს კი ყველა მწყობრში ჰყავს მიუხედავად იმისა, რომ „ბათუმთან" მატჩის შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელს სიცხე ჰქონდა.

*ოთარ გაბელია, „სიონის" მწვრთნელი:* დიდ სამზადისში ვართ. ჩემპიონს საკადრისად უნდა დავხვდეთ. „დინამო" ძლიერი, დაბალანსებული გუნდია და ფაქტია, მისი დამარცხება გაგვიჭირდება, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. პირველ წრეში ტოლ-სწორად ვეთამაშეთ თბილისში ივო შუშაკის გუნდს. თუ ჩემმა ფეხბურთელებმა მოინდომეს და ბოლომდე იბრძოლეს, სასურველ შედეგს ამჯერადაც მივაღწევთ.

**პაატა ძვანტალიანი**

საქართველოს 15 ჩემპიონატი უმაღლესი ლიგა პირველი ეტაპი **19 ტური**

# კოკა წყალს არ მოიტანს? კოკა სამ გოლს მოიტანს!




თორნიკე აფციაური და მეორე გოლი „ტორპედოს“ კარში

**კახა შალამბერიძე**

**გუშინ** „თბილისმა“ „ტორპედოს“ ულაპარაკოდ მოუგო. „ისანზე“ შეყრილი ორი კონკურენტი თავიდანვე მაგრად დაეჯახა ერთმანეთს, მაგრამ რამდენიმე წუთში მასპინძლების ბრჭყალები გამოჩნდა. გიორგი დევდარიანის შეგირდებმა ყველაფერში დაჩაგრეს ჟოაო კამპუშის ექსპერიმენტული გუნდი. დიახ, ბრაზილიელმა არც ამ გადამწყვეტ მატჩში დაიხია უკან და ფეხბურთელები ნაირ-ნაირ ამპლუებში მოსინჯა. ამის ბრალი იყო თუ სხვა რამის, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, ნახევარდაცვიდან თავდასხმაში აწეული კახა კვეტენაძე საერთოდ დაიკარგა. კამპუშმაც ბევრი არ იყოყმანა და მის ნაცვლად უკრაინელ ანდრი პოროშინს უხმო. თუმც ამ დროისთვის ანგარიში უკვე 2:0 იყო „თბილისის“ სასარგებლოდ. დავით ოდიკაძემ და კოკა მიკუჩაძემ „ტორპედოს“ დაცვა აურ-დაურიეს და ლამაზი გოლებიც გამოაცხვეს: 21-ე წუთზე ოდიკაძემ ზუსტი პასი უფეშქაშა მიკუჩაძეს — 1:0, ხოლო ოთხ წუთში ოდიკაძე-მიკუჩაძის სწრაფი კომბინაცია აფციაურმა დააგვირგვინა შედეგიანი დარტყმით.

ამ გოლებამდე კი ქომაგმა ორი ძალიან სახიფათო მომენტიც ნახა: ჯერ საჯარიმოში მარტო დარჩენილი აფციაური ვერ შესწვდა ბურთს, ხოლო კვეტენაძე-ბაბუნაშვილ-ჩხეტიანის სამსვლიანი კომბინაცია თბილისელთა კარის ძელმა მოიგერია.

„ტორპედო“ კატასტროფის წინაშე 38-ე წუთზე დადგა: გოჩა ხოჯავას იდეალური პასი აქტიურმა მიკუჩაძემ მესამე გოლად გარდასახა. „თბილისის“ გამარჯვებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა.

და ამ დროს „ტორპედომ“ ნაკვერჩხალი იპოვა — ბაბუნაშვილმა მასპინძლები ხელოვნურ თამაშგარეზე დაიჭირა და ანგარიში შეამცირა. ცეცხლის დანთება ქუთათურებმა მაინც ვერ შეძლეს — ტაიმის დამთავრებამდე დედაქალაქელებს ორი ურეალურესი მომენტი გაუსხლტათ ხელიდან: კვარაცხელიამ თავით კარს გადააცილა, ოდიკაძე კი მეკარემ გააწბილა.

მეორე ტაიმი უფრო მშვიდი გამოდგა. სახიფათო მომენტები შედარებით გაიშვიათდა, თუმც ორი გოლი მაინც ვნახეთ: 69-ე წუთზე კოკა მიკუჩაძემ ჰეთ თრიქი შეასრულა და ჟოაო კამპუშს კიდევ ერთხელ შემოაწყობინა თავზე ხელები. ცხადია, ათ წუთში ზურაბ მუშკუდიანის მიერ „თბილისის“ კარში გატანილმა გოლმა ბევრი ვერაფერი შეცვალა. ტორპედოელთა გაბრძოლებაც მწვავე არ გამოდგა და დედაქალაქელებმა დამსახურებულად იმარჯვეს.

*გიორგი დევდარიანი, „თბილისის“ მწვრთნელი:* დღეს ჩვენს უმთავრეს კონკურენტს ვეთამაშეთ და მიხარია, რომ მოვიგეთ. „ტორპედოსთან“ მატჩი ერთ-ერთი გადამწყვეტი იყო ჩვენთვის. ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. წინ სამი მატჩი გველის და იქაც წარმატებით უნდა ვითამაშოთ. ვფიქრობ, მთელმა გუნდმა მაგრად იბრძოლა, მაგრამ ოდიკაძეს მაინც გამოვარჩევ. მან დიდი წვლილი დაიდო ჩვენს გამარჯვებაში. სულიკო დავითაშვილის სათადარიგოობა ჩვეულებრივი ამბავია. მე მასთან არანაირი უთანხმოება ან პრობლემა არ მაქვს. უბრალოდ, ვინც უკეთ იყო მზად მატჩისთვის, ის ვათამაშე. როგორც ხედავთ, მართალი გამოვდექი.

*ჟოაო კამპუში, „ტორპედოს“ მწვრთნელი:* მეტოქეს ის ორი გოლიც დიდი ჯაფით გავუტანეთ. ცხადია, უკმაყოფილო ვარ, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორება კიდევ შეიძლება. „ტორპედოსთან“ სამწლიანი კონტრაქტი მაქვს და არსად წასვლას არ ვაპირებ. ჩვენ წარმატებების მიღწევა შეგვიძლია. თუ ექვსეულში ვერ მოვხვდით, მაშინ ბრაზილიელი ფეხბურთელების ბედი კლუბის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ გაირკვევა. ბატონ ზურაბ ხინიკაძეს 8 დეკემბერს მოსკოვში შევხვდები. ნიკა ნადირაძეს ჯერ კიდევ ბევრი სწავლა და შრომა სჭირდება. ის მხოლოდ 16 წლისაა და ფიზიკურად მომაგრება უნდა. ვფიქრობ, ნადირაძეს შეუძლია, კარგი ფეხბურთი ითამაშოს და საამისოდ არაფერს დავიშურებ.

თბილისი. 21 ნოემბერი. 15 საათი. ისანი. 1 000 (ტევადობა 3 000)

## თბილისი 4:2 ტორპედო

1:0 მიკუჩაძე (21), 2:0 აფციაური (25), 3:0 მიკუჩაძე (38), 3:1 ბაბუნაშვილი (40), 4:1 მიკუჩაძე (69), 4:2 მუშკუდიანი (79)

**თბილისი:** ნაჭყებია, გ. კვარაცხელია, ლოლაძე, სიდამონიძე, ელიავა, გ. ნუგ. ჭელიძე, მესხი, ხოჯავა (გოგიტა გოგუა 46), აფციაური, დ. ოდიკაძე (გენაძე 64), მიკუჩაძე (გ. ნოდ. ჭელიძე 72)
*სათადარიგონი:* ივარდავა; ყველაშვილი, დავითაშვილი, მიქიაშვილი
**მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი

**ტორპედო:** [illegible], ხვადაგიანი, ს. თოდუა, მახვილაძე, გამეზარდაშვილი (მუშკუდიანი 63), გ. ჩხეტიანი, ნერგაძე, კვეტენაძე (პოროშინი 31), ზ. ქუთათელაძე (ნ. ნადირაძე 46), ახალკაცი, ბაბუნაშვილი
*სათადარიგონი:* გ. სომხიშვილი; ლ. ჭელიძე, გოგოლაძე, ლალაძე
**მწვრთნელი:** ჟოაო კამპუში

**გაფრთხილება:** მესხი (23), გოგუა (52), ჩხეტიანი (89)

**გაძევება:** ახალკაცი (87)

**მსაჯები:** მ. მაისურაძე; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); კ. მესხი (ზუგდიდი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია; **დირექტორი:** შ. ბაქრაძე

ჯარიმა: 26-19; კუთხური: 5-4; კარისკენ დარტყმა: 4-4; კარში დარტყმა: 10-6; თამაშგარე: 5-1




თბილისელ კოკა მიკუჩაძის (მარჯვნიდან მესამე) თავური და გოლი

ოზურგეთი. 21 ნოემბერი. 15 საათი. ცენტრალური. 300 (ტევადობა 8 000)

## მერცხალი 1:3 კოლხეთი

1:0 გაბედავა (15), 1:1, 1:2 ლალანიძე (25, 52), 1:3 ქობულაძე (63)

**მერცხალი:** გია გოგუა, გ. წივწივაძე, მეავანაძე, ჭალიაშვილი, ჭინჭარაული, სიამაშვილი, ბართია, მებონია, გაბედავა, ხუჭუა (ასკურავა 70), კალანდაძე (ჩიჩუა 72)
*სათადარიგონი:* როხაძე; ი. განევი, დონაძე, მაღლაფერიძე
**მწვრთნელი:** აკაკი ათუაშვილი

**კოლხეთი:** ბათიაშვილი, თაყაძე, ქუტიძე, მინდაძე, მ. ქობულაძე (კახაძე 90), შალამბერიძე, შ. ლონლაძე, ლალანიძე, მარგალიტაძე, კრასოვსკი (სვანაძე 62), ხურცილავა (ტულუში 46)
*სათადარიგონი:* ჩემია; დ. ნარსია, გ. ტყებუჩავა
**მწვრთნელი:** გია ტყებუჩავა

**გაფრთხილება:** შალამბერიძე (4), წივწივაძე (12), ჭინჭარაული (61), მარგალიტაძე (74)

**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); გ. ცირდავა (გულრიფში), ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე; **დირექტორი:** გ. სორდია

ჯარიმა: 16-23; კუთხური: 6-2, კარისკენ დარტყმა 1-5, კარში დარტყმა: 7-8; თამაშგარე: 5-3

# ლალანიძემ ლიდინ-ლიდინით

**გოჩა ჯანაშია ოზურგეთიდან**

**20 სექტემბრის** მერე „მერცხალს“ მოგებით არ გაუხარია. მაშინ გურულებმა სწორედ გუშინდელ მეტოქეს მოუგეს ფოთში და ბევრიც გააკვირვეს, რადგან „კოლხეთი“ ლიდერთა მარაქაში იყო გარეული და ამ მარცხმა კრიზისი დაუბედა. მერე ის იყო, რომ „კოლხეთი“ ბოლოადგილოსან ოზურგეთულ კლუბს შეუამხანაგდა კიდეც. თუმც ზედიზედ ორმა მოგებამ ჯუნგლი ტყებუჩავას შეგირდებს ამოსუნთქვის საშუალება მისცა.

„ცენტრალური“ სათამაშოდ გაუსაძლისი, წყლით გაჟღენთილი ზედიზედ მეორედ ხვდება სტუმარმასპინძელს. მიუხედავად ამისა, საკმაოდ ცოცხალი და უშეღავათო ბურთაობა გაჩაღდა.

ხიფათი უკვე მეორე წუთზე იშვა. ოზურგეთელთა საჯარიმოში შექმნილ ორომტრიალში ლაფში გაჩხერილი ბურთი მარგალიტაძემ კარში გაგზავნა, ოღონდ ოდნავ აუცდა.

აკაკი ათუაშვილს დასაკარგი არაფერი ჰქონდა და საქმეში თავიდანვე ორი ფორვარდი ჩართო, ამან შედეგი მალე გამოიღო და სწრაფი იერიში გოლად იქცა. მარჯვენა ფლანგიდან სიამაშვილმა კარის გასწვრივ დაბალი პასი გაჭრა და შორეულ ძელთან ჩასაფრებულმა გაბედავამ მცველთა წამიერი ჩათვლემით ისარგებლა, ბურთს ჩაუწვა და გაიტანა კიდეც.

„კოლხეთი“ დანებებას სულაც არ აპირებდა და ამის პირველი ნიშანი შალამბერიძის შორეული დარტყმა გახლდათ. ამ ეპიზოდში შესცოდა ჭალიაშვილმა და ბურთი მეტოქეს ჩააბარა. შალამბერიძემაც მყის დაჰკრა და გოგუამ სველი ბურთი ძლივს შეიკავა.

სამიოდ წუთში სტუმრებმა მაინც გაიტანეს. იმავ შალამბერიძემ საჯარიმოში ჩააწოდა, იქ კი ლალანიძე სამეკარეოში სრულიად მარტო დარჩა და თავით აულებელიც დაარტყა.

გაშვებულმა გოლმა გურულები არია და კოლხებმა გვარიანი უპირატესობა შეიქმნეს. გოგუას კართან მომენტებმაც იმატა. 32-ე წუთზე ლალანიძის შორეულ პასზე წესით კრასოვსკის მეკარისთვის ვერ უნდა მიესწრო. თუმც გოგუამ წაიფორხილა და... კოლხმა ფორვარდმა ცარიელ კარს სასწაულებრივ აცილა.

სტუმრებმა რამდენიმე მომენტი მერეც შექმნეს, თუმც ნაკლები სიმწვავის და შესვენებამდე მეტი არაფერი შეცვლილა.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე მეტოქეებმა შორეული დარტყმები გაცვალეს. კალანდაძის დარტყმულს ქობულაძემ უპასუხა. ორივე შემთხვევაში მეკარეებმა ივარგეს. მალე გაბედავას დარტყმულს ისევ ბათიაშვილი გადაეღობა, რასაც კოლხებმა მარგალიტაძის სახიფათო თავურით და შემდგომ ლალანიძის ჩინებული დარტყმით გასცეს საკადრისი პასუხი. დაახლოებით 30 მეტრიდან ზაველიმ მოულოდნელად დაჰკრა და 1:2.

ხუთ წუთში ბართიას ოდნავ დააკლდა გასაყაიმებლად. მას ბათიაშვილმა ცოცხალი თავით არ დაანება გატანა. ეს იყო და, „კოლხეთმა“ მესამეც გაიტანა. შალამბერიძის გრძელ პასს ქობულაძე დროულად გამოეხმაურა და ახლოდან გატანაც არ გასჭირვებია. და სად იყვნენ ამ დროს „მერცხალის“ მცველები? იქ ნაღდად არა, სადაც საჭირო იყო.

დარჩენილი დრო საკმარისი იყო, მასპინძლებს რაიმე შეეცვალათ. მათ მცდელობა არ დაუკლიათ, მაგრამ საიმედოდ გარჯილ მეტოქეს ვერაფერი ავნეს. „კოლხეთი“ იოლად იგერიებდა მომხდურთა იერიშებს და მწარედაც იჩხვლიტებოდა. ეს კი არა, 84-ე წუთზე სვანაძემ კიდევ ერთხელ მოახერხა გოგუას კარის დალაშქვრა, მაგრამ თანამსაჯმა არ გაახარა — თამაშგარე იყოო. აქედან ორ წუთში კვლავ ქობულაძე ჩაერთო შეეტვაში, პასიც უნაკლო მიიღო ტულუშისგან და თავადაც ყველაფერი გააკეთა, რათა მეკარეს დაპირისპირებოდა, თუმც საბოლოო დარტყმა გაცუდა.

„მერცხალს“ ბოლო ათ წუთში ორჯერ შეეძლო გატანა. პირველად, სიამაშვილის თავურს ბათიაშვილი სწორ პოზიციაზე დაუხვდა, მეორედ კი გაბედავამ გააჯანჯლა დარტყმა, თორემ გოლს არაფერი უკლდა.

მოკლედ, ორივე გუნდმა იბრძოლა, რაც შეეძლო და ასეთ ცუდ ამინდში სიზანტე გასაკვირიც იქნებოდა. ვინ უფრო ნაყოფიერად იბრძოლა და ირბინა, შედეგიდანაც კარგად ჩანს. „კოლხეთს“ სრულფასოვანი რევანში გამოუვიდა „ფაზისზე“ პირველ წრეში ნაწნევი მარცხის გამო.

# ჩამოდით, ბატონო, და, რასაც გაიტანთ, თქვენი იყოს

მცხეთა. 21 ნოემბერი. 15 საათი. არმაზი. 500 (ტევადობა 3 000)

## მცხეთა 0:1 ბათუმი

0:1 მახარაძე (67)

*ჩილვინაძემ ვერ გამოიყენა პენალტი (89 ააცილა)*

**მცხეთა:** თ. ოდიკაძე, ლ. ამბიძე, გ. ქებაძე (ჯაფარიძე 75), რაქვიაშვილი, კირვალიძე, ავალიანი, თირქია, ლ. ჩხაიძე, სუბელიანი, პარამონოვი, ჩილვინაძე
*სათადარიგონი:* ცინაძე; სიამაშვილი, გვენეტაძე, ხიდაშელი, მუშუქია, ბ. ნოზაძე
**მწვრთნელი:** ვლადიმერ გუცაევი

**ბათუმი:** ქვაჩახია, მახარაძე, გუშარაშვილი, გალოგრე, ბეგლარ თედორაძე, დუმბაძე, ბესიკ თედორაძე, მანჩხავა (რომანაძე 61), ი. შენგელია, დარჩიძე (სირბილაძე 55; კობიძე 90), კაკალაძე
*სათადარიგონი:* ი. ბალაძე; სალუქვაძე, ცანავა, ბეჟანიძე
**მწვრთნელი:** ვალერიან ჩხარტიშვილი

**გაფრთხილება:** კაკალაძე (80)

**მსაჯები:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), მ. ელიკაშვილი; ა. მეშკოვი (ორივე თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი; **დირექტორი:** გ. კეტაშვილი

ჯარიმა: 18-21; კუთხური: 7-1; კარისკენ დარტყმა: 5-3; კარში დარტყმა: 4-3; თამაშგარე: 3-8

**კობა ინასარიძე მცხეთიდან**

**ბოლო დროს** მოლონიერებულმა „ბათუმმა" გუშინ მცხეთიდან შესაძლოა, ის სამი ქულა წაიღო, რომელიც ზეექვსეულის კარს გაუღებს. დაკარგული ქულებით ბათუმელები უკვე არიან ექვსეულში. ეს ერთი გამოტოვებული მატჩი კი შინ „ვიტ ჯორჯიასთან" აქვთ და მათ საქმეს უიმედო სულაც არ ეთქმის, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ კალენდარს — „ბათუმს" „ვიტ ჯორჯიასთან" შეხვედრის გარდა ორი მატჩიც შინ აქვს გასამართი — „დილასთან" და „სპარტაკთან", ბოლო სტუმრად — „დინამოსთან". ბათუმელების მთავარმა საექვსეულო კონკურენტებმა, „თბილისმა" და „ლოკომოტივმა" კი საქმე ერთმანეთშიც უნდა გაარჩიონ და სტუმრადაც მძიმე მატჩები ელით.

მოკლედ, შორს რაღად წავიდეთ, მთავარი, ვფიქრობთ, ვთქვით, „ბათუმისთვის" გუშინ უმნიშვნელოვანესი მატჩი იყო, რომელიც თავის სასარგებლოდ დაამთავრა. თუმც კი საქმე ისე წავიდა, მატჩის დასრულებამდე წუთით ადრე „ბათუმს" შესაძლო იყო, ორი ქულა დაეკარგა — 89-ე წუთზე „მცხეთას" მთავარ დამრტყმელს ჩილვინაძეს ნერვებმა უმტყუნა და ჩხაიძის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ვერ გამოიყენა. მცხეთელმა ფორვარდმა ბურთი ქვაჩახიას კარს ააცილა.

ეს ამბავი მატჩის ბოლოს იყო და, რა თქმა უნდა, ფეხბურთელებს ემოცია მოეჭარბათ. „ბათუმმა" პენალტი გააპროტესტა, თუმც ერთიორ წუთიანი კამათი უშედეგოდ დამთავრდა.

შედეგიანი კი 67-ე წუთზე ბათუმელთა კაპიტნის ვანო მახარაძის დარტყმული გამოდგა. შენგელიას საჯარიმო დარტყმა მცხეთელ მცველს მოხვდა, ბურთი იქვე უყურადღებოდ დარჩენილ მახარაძეს მიუვიდა, რომელმაც შეუჩერებლად დაარტყა და გაიტანა.

„მცხეთამ" მოახლოებული საფრთხე რომ იგრძნო, უკან მოუხედავად შეუტია. მასპინძლებს გაშვებულ გოლამდე და მერეც ჰქონდათ რამდენიმე საგოლე შანსი, მაგრამ მოედნის საფარი ისეთ მდგომარეობაში იყო, დარტყმასა და დრიბლინგს ვინ ჩივის, ფეხბურთელებს გაზონზე ფეხის მოკიდება უჭირდათ და უამრავი ტექნიკური წუნი ჰქონდათ.

გოლის მერე, კი კონტრშეტევებზე, „ბათუმმაც" ორი ასპროცენტიანი მომენტი გააცუდა. ოდიკაძესთან პირისპირ ჯერ ბესიკ თედორაძე დარჩა, მერე კაკალაძე, თუმც ხეირიანი დარტყმა არც ერთს გამოუვიდა, არც მეორეს.

ბოლოს კი ის იყო, რაც ზემოთ ვთქვით: პენალტი, პროტესტი, კარს აცილებული დარტყმა, სტუმართა სიხარული და „მცხეთას" გასახდელში იმ გაცუდებული პენალტის გარჩევა. თურმე „მცხეთაში" მეპენალტედ პარამონოვი ითვლება, გუშინ კი მას დარტყმა ჩილვინაძემ სთხოვა, უთქვამს, მჯერა, გავიტანო. დაარტყა და... სამი ქულა ბათუმში წავიდა.



ორი მეკარე, ორი იღბალი: მცხეთელმა თამაზ ოდიკაძემ გაუშვა, ზურაბ ქვაჩახიას კარს კი პენალტიც ასცდა



გორი. 21 ნოემბერი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 1 500 (ტევადობა 8 230)

## დილა 1:0 სპარტაკი

1:0 ბ. ჩიტაია (90)

**დილა:** თ. ილურიძე, რ. ხაჭაპურიძე, ლომიძე, ბალაშვილი, გ. ჩიტაია, ზ. ლაცაბიძე, ოლგესაშვილი, სულთანიშვილი (გ. კაიდარაშვილი 87), მარლიშვილი (ხანიშვილი 68), ბ. ჩიტაია, რაზმაძე
*სათადარიგონი:* სოლოლაშვილი; მასურაშვილი, გ. ნადირაძე, ქარქუზაშვილი
**მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი

**სპარტაკი:** მამალაძე, დონდოლაძე, ჟვანია, ჩიკვილაძე, [illegible], ჯანგიძე, გ. თოდუა, კვერენჩხილაძე, ბოლქვაძე, ტატანაშვილი (ურუშაძე 89), კოტრიკაძე (გ. დოლიძე 61)
*სათადარიგონი:* ბ. შევრილაძე; ფირცხალავა, ბ. გოცირიძე, თ. იმნაიშვილი, წურწუმია
**მწვრთნელი:** ვასილ ჭეიშვილი

**გაფრთხილება:** ლაცაბიძე (25), ბოლქვაძე (29), კოტრიკაძე (58), ლომიძე (77)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ე. სილაგავა; **დირექტორი:** მ. ანჯაფარიძე

ჯარიმა: 19-29; კუთხური: 3-4; კარისკენ დარტყმა: 4-3; კარში დარტყმა: 2-3; თამაშგარე: 5-5

# წვიმაში, ტალახ-ტუღახში

## სუფთა ანეკდოტი სუფთა მაისურაზე

**გიორგი ვაშაკიძე გორიდან**

**თამაში** დასრულდა თუ არა, ერთმა გახარებულმა გორელმა მეორეს გადაულაპარაკა: ბიჯო, ძლივს არ მოვიგეთ ამ წყალბურთში! არც გაემტყუნებოდა, გუშინ „თენგიზ ბურჯანაძეზე" ფეხბურთი ნაკლებად იყო — გადაუღებელ წვიმასა და სუსხში, ლამის მუხლებამდე გუბეებში და ატალახებულ მინდორზე ორივე გუნდი რაღაცას ცდილობდა. დიახაც, რომ ცდილობდა, ჭირდა ზუსტი პასი, ხან ბურთი გაჩერდებოდა გუბეში, ხანაც ფეხბურთელები სრიალებდნენ და „ბანაობდნენ".

პირველმა შეცვლას „სპარტაკის" მწვრთნელმა ვასილ ჭეიშვილმა მიმართა, 61-ე წუთზე მოედნის კიდესთან თეთრ, ქათქათა ფორმაში გამოწყობილი გრიგოლ დოლიძე გამოჩნდა და ახარხარდა სტადიონი, ტალახში ამოგანგლული 22-ივე ფეხბურთელის ფონზე დოლიძის პეწიანობამ სიცილი მოჰგვარა ქომაგებს.

ანგარიშიდანაც ჩანს, სტუმრებმა ბოლო წუთზე, უფრო ზუსტად, ფანიაშვილის მიერ დამატებულ მესამე წუთზე გაუშვეს გოლი და ამით წააგეს. თუმც, გულახდილად ვიტყვი და ალბათ არც არავინ გამამტყუნებს, გუშინდელი შეხვედრის ლოგიკური შედეგი ფრე უნდა ყოფილიყო. არ იმსახურებდნენ წაგებას ახალგაზრდა სპარტაკელები. მათ მოგებაც შეეძლოთ, 2-3 რეალური მომენტი შექმნეს და გაანიავეს. გოლის გატანა მასპინძლებსაც მართებდათ, მარტო ბექა ჩიტაიამ სამჯერ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ვერ შეაგდო.

ერთი სიტყვით, მოგება ორივეს შეეძლო, როგორც ჩანს, გორელებმა უფრო მოინდომეს და ბექა ჩიტაიამ თავით როგორც იქნა გაიტანა. ცხადია, თბილისელები განაწყენდნენ და გვერდით მსაჯ ჯვარიძეს მისცვივდნენ, გორელი თავდამსხმელი თამაშგარეში იყო და ალამი რატომ არ აწიეო. ვითარება მცირე ხნით დაიძაბა, გორელები ალალად ამშვიდებდნენ სტუმრებს, ბოლოს თვალცრემლიანმა თბილისელებმა მაინც თავაწეულებმა დატოვეს მოედანი და ქომაგებისგან ტაშიც დაიმსახურეს.

როგორც იცით, სადისციპლინო კომიტეტმა ბოლნისური ინციდენტის „გმირები" მკაცრად დასაჯა. ჰოდა, ტრიბუნაზე გვერდიგვერდ მოკალათებულიყვნენ ალეკო კაიდარაშვილი, მერაბ ძოძუაშვილი, ლევან გოჩაშვილი, ალექსანდრე ლაბაძე და ისე ქომაგობდნენ თავისიანებს. მათი არყოფნა ძალიან დაეტყო „დილას". ზურაბ ხორგუაშვილმაც „ავარიული" ოპტიმალური შემადგენლობა გაიყვანა მინდორზე. ძირითადიდან ერთადერთი მეკარე რამაზ სოლოლაშვილი იჯდა სათადარიგოთა სკამზე, მას ხელი აწუხებდა, კარს თამაზ ილურიძე იცავდა და ჩინებულადაც.

ხისტ, მაგრამ არა უხეშ ბრძოლაში პატარა ინციდენტიც მოხდა. 70-ე წუთზე სტუმარმა ჩიკვილაძემ მოედნის კიდესთან ბურთი აუტში მოიგერია და თან დროის მოგების მიზნით ფეხი გაჰკრა. ამან ბექა ჩიტაია გაახელა და სტუმარ-მასპინძელიც შელაპარაკდა. წაკინკლავება ლამის მუშტი-კრივში გადაიზარდა, მაგრამ ორივე გუნდის ფეხბურთელები დროულად ჩაერივნენ, მოქიშპეები გააშველეს და დააწყნარეს, არბიტრმა ფანიაშვილმა კი რატომღაც არც ერთი გააფრთხილა, არადა, სულ ცოტა, ყვითელ ბარათს ორივე იმსახურებდა.

„დილა" ბოლო შტურმზე გადადიოდა, „სპარტაკი" დაცვაში იჯდა და დროს იხელთებდა თუ არა, მწვავე კონტრშეტევებს ახერხებდა. ამ დროს შეეძლოთ და მართებდათ სტუმრებს გატანა, მაგრამ ილურიძემ არ დაანება. ბოლოს კი, ბექა ჩიტაიას ის თავური და მამალაძის კარში ატალახებულ მინდორზე ნება-ნება შეგორებული ბურთი იყო.

ბოლოს ერთიც. კითხვა „სპარტაკის" ხელმძღვანელობას და არბიტრ ლევან ფანიაშვილს: რატომ ეცვა თბილისელთა მეკარე ზურაბ მამალაძეს საქართველოს ნაკრების მეკარის მაისურა? ნუთუ ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე კლუბს საკუთარი ემბლემით დამშვენებული მეკარის ფორმა არ გააჩნია...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 18 | 12 | 4 | 2 | 38:6 | 40 |
| სიონი | 18 | 10 | 7 | 1 | 26:11 | 37 |
| დილა | 19 | 10 | 3 | 6 | 28:18 | 33 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 9 | 5 | 3 | 29:11 | 32 |
| თბილისი | 19 | 8 | 4 | 7 | 33:25 | 28 |
| ბათუმი | 18 | 8 | 2 | 8 | 22:19 | 26 |
| ლოკომოტივი | 18 | 7 | 4 | 7 | 26:21 | 25 |
| ტორპედო | 19 | 7 | 4 | 8 | 19:22 | 25 |
| კოლხეთი | 19 | 6 | 3 | 10 | 15:24 | 21 |
| მცხეთა | 19 | 6 | 2 | 11 | 21:44 | 20 |
| სპარტაკი | 19 | 3 | 4 | 12 | 11:43 | 13 |
| მერცხალი | 19 | 2 | 4 | 13 | 17:39 | 10 |

# სილაგაძემ აფრიკელი გვარში და მეგობრობაში ჩაიზიარა

*ორი წლის წინ ლევან სილაგაძე ყაზანის გზას დაადგა, რუსული პირველი ლიგის „რუბინში“ გადავიდა. სილაგაძეს ეს ნაბიჯი ბევრმა შეცდომად ჩაუთვალა, ზოგმა ისიც თქვა, მორჩა მაგის ფეხბურთიო, არადა, რუსთაველ მცველს მაშინ მართლაც არ ეფეხბურთებოდა ოჯახური პრობლემების გამო, თუმც თავსაც სძლია, არაერთ ტრავმასაც და ძველებურად ათამაშდა.*

*სილაგაძე ყოველთვის გამოირჩეოდა სათამაშო დისციპლინით და შრომისმოყვარეობით. ამიტომაც კარგად შეეწყო „რუბინს“. ყაზანურმა კლუბმა კი ამ ორ წელიწადში მართლაც იფრინა, ჯერ პრემიერლიგელი გახდა, ამ სეზონში კი სულაც ფურორი მოახდინა — რუსული ბრინჯაოთი უეფას თასზე თამაში დაიბევა.*

*შვებულებით სამშობლოში დაბრუნებული ლევან სილაგაძე გუშინ რედაქციაში გვესტუმრა*

— მოკლე დროში „რუბინმა“ თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია, არაფრით გამორჩეული გუნდი რუსული ბობოლების რისხვად იქცა და სეზონის დაწყებამდე ბევრისგან ჩამოწერილი უეფას თასს შესწვდა.

— ჩვენ მართლაც პირველივე ტურის შემდეგ ჩამოგვწერეს — 0:4 წავაგეთ ცსკა-სთან, მერე კი დრომ აჩვენა, რომ ეს მარცხი დიდი გაკვეთილი იყო. „რუბინში“ ერთი ფასდაუდებელი კაცი მუშაობს — მთავარი მწვრთნელი ყურბან ბერდიევი, არ ვაჭარბებ, რუსეთში მასზე ძლიერი სპეციალისტი არ მეგულება. მან შეძლო პირველი მარცხის მიზეზების გაანალიზება, ლეგიონერების — სხვადასხვა მენტალიტეტის ადამიანების შეკავშირება და „რუბინმა“ დაიწყო ყველას გაოცება. ჩვენი გუნდი ერთადერთი იყო, მთელი ზაფხული დაუმარცხებლად რომ განვლო. ბერდიევმა შეძლო ფეხბურთელებში გამარჯვებულის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება და მთლიანობაში ამ ყოველივემ შედეგი გამოიღო. თუმც ეს წარმატების ერთი, წმინდა საფეხბურთო მხარეა. „რუბინის“ აღმავლობის მნიშვნელოვანი ფაქტორი კი ყაზანის და მთლიანად სათათრეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ფეხბურთისადმი დამოკიდებულებაა. ჩვენი გუნდი ბიუჯეტზეა. კლუბის პრეზიდენტი ყაზანის მერი ისხაკოვია, ამ კაცს „რუბინამდე“ ფეხბურთის ბევრიც არაფერი გაეგებოდა, მაგრამ საქმეს თავი არ აარიდა და მისი დამსახურებაცაა, დღეს ყაზანში მატჩის დღეს ჰოკეის მსგავსად ფეხბურთის ბილეთებსაც რომ ვერ იშოვი. მერიის თანადგომით არც უცხოური შეკრებები დაგვკლებია და არც ისეთი პირობები, ფეხბურთის თამაშის გარდა სხვა პრობლემებისგან რომ განთავისუფლებს.

**— ჩვენთან, თავადაც იცი ამ მხრივ საპირისპირო ვითარებაა...**

— ამიტომაც ვფიქრობ, რომ ქართული ფეხბურთის მომავალი ერთობ საეჭვოა. რუსეთშიც კორუფციაა, დიდი შავი ფული ტრიალებს, მაგრამ იქ ფუნქციონერი თუ რიგითი ბიზნესმენი საქმისთვისაც ზრუნავს, ნებისმიერ სფეროში იდება ფული და პროგრესიც თვალსაჩინოა.

**— „რუბინს“ დავუბრუნდეთ. გუნდმა ბოლო ტურში ჩემპიონ ცსკა-ს ძლევით შეძლო მესამე ადგილის დაკავება. რა ხდებოდა იმ დღეს ყაზანში?**

— ქალაქის ცენტრში დიდი მონიტორია დამონტაჟებული, ყაზანელებს ჩვენი გასვლითი მატჩების ნახვის საშუალება აქვთ. ცსკა-სთან მატჩის დღეს კი სტადიონმა ყველა გულშემატკივარი ვერ დაიტია. დანარჩენები მთვარ მოედანზე ადევნებდნენ თვალს ჩვენს გამარჯვებას. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავთ, სახალხო ზეიმი იყო. თათრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტიც უბრალო ხალხთან ერთად ზეიმობდა „რუბინის“ წარმატებას. საფინალო სასტვენის შემდეგ კი სტადიონზე ხანგრძლივი ოვაცია მოგვიწყვეს. „რუბინის“ პრეზიდენტი ისხაკოვი კლუბის დროშით ხელში ბავშვივით დარბოდა.

**— „რუბინმა“, ფაქტობრივად, ლეგიონერების წყალობით მიაღწია წარმატებას. მათი რაოდენობა ლამის ტურიდან ტურამდე მატულობდა. რამდენი ლეგიონერია გუნდში?**

— უმჯობესია, მკითხო, რამდენი რუსი გვყავს. 8 ფეხბურთელია რუსეთის მოქალაქე, დანარჩენები — მოწვეულები. 5-6 ლეგიონერი „რუბინს“ საბაზო გუნდშიც ჰყავს. სიტყვამ მოიტანა და, ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი გამახსენდა... მეორე წრე ახალი დაწყებული იყო და მორიგი შავკანიანი ბიჭი მოიყვანეს ერთ-ერთ ვარჯიშზე. დაბალი, გამხდარი, 50 კილომდე თუ იქნებოდა. სხარტი და ტექნიკური უპრობლემოდ დაძვრებოდა ორ-სამ მეურვეს შორის. ვხედავ, მაისურაზე SILA აწერია. ადმინისტრატორს ვკითხე მისი ვინაობა. გამბიელი ბიჭია, ებუ სილა, გუნდში აიყვანესო, მითხრა. მივედი და ვუთხარი, ჩვენი გვარები ერთმანეთს ჰგავს, სილაგაძე ვარ-მეთქი. ძმები ვყოფილვართო, მომეხვია, უცებ დამიახლოვდა, მეგობრები გავხდით.

**— ვიცი, რომ „რუბინთან“ კონტრაქტი დაგიმთავრდა. რა გეგმები გაქვს სამომავლოდ?**

— ყაზანში 11 დეკემბერს ჩავალ, გუნდის საზეიმო დაჯილდოებაა და ალბათ კონტრაქტსაც გავიხანგრძლივებ, რუბინელებს აქვთ ამის სურვილი და არც მე ვარ წინააღმდეგი.

**— წლების მანძილზე ლატვიურ „სკონტოში“ თამაშობდი. მაშინდელი შენი თანაგუნდელები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდნენ...**

— ძალიან მიხარია, ლატვიელთა წარმატება. ფაქტობრივად, ამ ბიჭებთან ერთად ჩამოვყალიბდი ფეხბურთელად. ჩემი მეგობრები არიან და ვუერთდები მათ სიხარულს. ლატვიელებმა მართლაც დიდ წარმატებას მიაღწიეს. მომხდარი ერთი შეხედვით წარმოუდგენელია ბევრისთვის, ოღონდ ჩემთვის არა. მე უშუალო მოწმე ვარ, რა თავდადებას, რა მონდომებას დებდნენ ლატვიელები საქმეში და შედეგიც დამსახურებული მიიღეს. დიდი კაცია სტარკოვსი, მასთან მამაშვილური დამოკიდებულება მქონდა, ყველასაგან რაღაცას სწავლობდა, არაფერს თაკილობდა და გაუმართლა. შრომა და მკაცრი დისციპლინა — ასეთია სტარკოვსის წარმატების ფორმულა.

**— საქართველოს თუ აქვს ასეთი წარმატების შანსი?**

— მთავარი სახელმწიფოს მხრიდან ფეხბურთისადმი დამოკიდებულებაა, თუმც რასაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ვხედავ, იმედის საფუძველს არ მაძლევს. უკიდურესობამდე შეჭირვებული ხალხი ქუჩაშია გამოსული. მე მშვიდობის მომხრე ვარ, თუმც ფაქტია, საქართველოში ბევრი რამ შესაცვლელია, იმიტომ, რომ ადამიანმა ადამიანად იგრძნოს თავი ამ ქვეყანაში.

**პაატა ქვანტალიანი**



თათრულ ინტერნაციონალში ლევან სილაგაძემაც (მარჯვნიდან მეორე) გაიხარა



# სანდროს სანდო უნდა
## ბურნაძე რუსთაველში ვარჯიშით ისვენებს

**ყაზახეთიდან** დაბრუნდა ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი და საქართველოში ბოლოს ბოლნისურ „სიონში“ ნათამაშები ალექსანდრე ბურნაძე.

ბურნაძე წინა სეზონის ბოლოს ქართველთაგან გაჭრილ ყაზახურ ბილიკს დაადგა და „ჟეტისუში“ ჩაირიცხა. ქართველმა მცველმა სტაბილურად ითამაშა ყაზახეთის ჩემპიონატში, ორი გოლის გატანაც შეძლო, მისმა გუნდმა კი მერვე ადგილზე ჩაამთავრა გათამაშება.

ბურნაძე გუშინწინ დაბრუნდა ყაზახეთიდან და გუშინ ნაჩვევ რუსთავულ სარბიელზე ივარჯიშა...

**— ფორმა მინდა შევინარჩუნო** მიუხედავად იმისა, რომ შვებულებაში ვარ. დასვენებას ისედაც მოვასწრებ, რადგან დრო საკმაო მაქვს.

**— როგორი გუნდია „ჟეტისუ“?**

— ყაზახეთის ჩემპიონატში საშუალო გუნდად ითვლება. ფეხბურთელებს შესაძლებლობის გამოსავლენად ელემენტარული პირობები აქვთ. ჩემპიონატში უკეთესი შედეგის მიღწევაც შეგვეძლო, სამი ტურით ადრე მეოთხე ადგილზეც ვიყავით, თუმც ბოლო მატჩებში გაცილებით მოტივირებულ მეტოქეებთან ვერაფერი გავაწყეთ.

**— ყაზახეთის ჩემპიონატი რა დონისაა?**

— ჩვენს პირველობაზე უკეთესია. იქ ლეგიონერების წყალობით შემსრულებლები არ აკლიათ და მატერიალური პირობებიც აქაურთან შედარებით უმჯობესია. რაც მთავარია, ფეხბურთისადმი ინტერესი იგრძნობა.

**— „ჟეტისუსთან“ ურთიერთობას გააგრძელებ?**

— ყაზახეთში საიჯარო ხელშეკრულებით ვთამაშობდი. „ჟეტისუში“ იჯარის ვადა უკვე ამოიწურა, ჩემპიონატიც დამთავრდა და ჩამოვედი. „ჟეტისუს“ მესვეურებს კვლავაც სურთ ჩემი კლუბში ყოფნა, მაგრამ ვნახოთ, რა იქნება. მოსაფიქრებლად დრო მაქვს. გააჩნია, რა პირობებს შემომთავაზებენ.

**— იქაური ჩემპიონატის მოწინავე გუნდებს თუ აქვთ შენი გადაბირების სურვილი?**

— მქონდა რამდენიმე წინადადება ყაზახეთის ჩემპიონატის ლიდერთაგან. ამჟამად საახალსეზონოდ თითოეულ კლუბს მოსაფიქრებელი აქვს ახალი სამუშაო პროგრამა, დასაგეგმია ხარჯთაღრიცხვა, ამის შემდეგ გამოჩნდება, რისი შემოთავაზება შეუძლიათ მათ და მეც მივიღებ გადაწყვეტილებას.

**— ქართულ ჩემპიონატში თამაში არ გსურს?**

— რატომაც არა, ყველაფერი პირობებზეა დამოკიდებული. თუკი რეალური წინადადება იქნება, აქაც ვითამაშებ. თუმც არც იმას გამოვრიცხავ, ყაზახეთის გარდა სხვა უცხოურ ქვეყანაშიც წავიდე, ვნახოთ, გადაწყვეტილების მისაღებად დიდი დროს მაქვს.

**პაატა ქვანტალიანი**

# მექანიკური ფორთოხალი
## სპარსელებმა ქართველი დაგვიბომბეს

ჯაბა მუჯირის და კახა ახალაძის ისპაჰანის „სეპაჰანი“ ირანის ჩემპიონი კია, მაგრამ მიმდინარე ჩემპიონატის 9 ტურის შემდეგ თოთხმეტგუნდა ლიგაში მე-8 ადგილზეა. ბოლო ტურში „სეპაჰანი“ სტუმრად დამარცხდა რაშთის „ფეგასთან“ 1:3. მუჯირმა სრულად ითამაშა, ხოლო ახალაძე მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდა და გააძევეს.

— ჯერ პირველ ტაიმშიც გაგვიგდეს ერთი ფეხბურთელი. მეორეში როცა ანგარიში 1:2 იყო, მაშინ შევედი და ხუთ წუთში გამაძევეს — ჩვეულებრივი სათამაშო ეპიზოდი იყო, მეტოქეს მხარი ჩავუდგი, მაგრამ მან ყველაფერი გააფორმა, დაიყვირა და წაიქცა. სტადიონი სავსე იყო, 20-25 ათასი კაცი ესწრებოდა მატჩს და ქვებს, ფორთოხლებსა და სათამაშო ბომბებს გვესროდნენ — მსგავსი ასაფეთქებლები თბილისშიც იყიდება, მაგრამ აქ ცოტა სხვანაირებია, სუნიც საშინელი აქვს. როცა მოედნიდან გავდიოდი, ქვები, ფორთოხლები და ეს ბომბები ჩემსკენ წამოვიდა, თუმც უვნებელი დავრჩი. ერთი სიტყვით, ქვებს და სხვა საგნებს ირანში უფრო მაგრად ისვრიან, ვიდრე საქართველოში. ასეთი ექსცესები თეირანში ნაკლებად ხდება, პროვინციებში კი ძალიან ხშირად — გვითხრა ახალაძემ, რომელმაც მეორეჯერ ითამაშა სპარსულ ლიგაში შეცვლაზე.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

ვაჟა ხუციშვილი

# გამომძიებელმა მორისი მინდორზე გაუშვა

| XIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბირმინგემი | — | არსენალი |
| ევერტონი | — | ვულვზი |
| ლიდსი | — | ბოლტონი |
| ლესტერი | — | ჩარლტონი |
| მანჩესტერი | — | ბლექბერნი |
| მიდლსბრო | — | ლივერპული |
| ნიუკასლი | — | სიტი |
| საუთჰემპტონი | — | ჩელსი |
| **ხვალ** | | |
| ტოტენჰემი | — | ასტონ ვილა |
| **ზეგ** | | |
| ფულემი | — | პორტსმუთი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 12 | 9 | 3 | 0 | 25:10 | 30 |
| ჩელსი | 12 | 9 | 2 | 1 | 26:9 | 29 |
| მანჩესტერი | 12 | 9 | 1 | 2 | 23:7 | 28 |
| ჩარლტონი | 12 | 6 | 3 | 3 | 19:15 | 21 |
| ბირმინგემი | 12 | 5 | 5 | 2 | 11:8 | 20 |
| სიტი | 12 | 5 | 3 | 4 | 22:15 | 18 |
| ფულემი | 12 | 5 | 3 | 4 | 22:18 | 18 |
| ლივერპული | 12 | 5 | 2 | 5 | 18:14 | 17 |
| საუთჰემპტონი | 12 | 4 | 5 | 3 | 10:7 | 17 |
| ნიუკასლი | 12 | 4 | 4 | 4 | 16:18 | 16 |
| პორტსმუთი | 12 | 4 | 3 | 5 | 17:16 | 15 |
| მიდლსბრო | 12 | 4 | 2 | 6 | 11:15 | 14 |
| ტოტენჰემი | 12 | 3 | 3 | 6 | 11:16 | 12 |
| ბოლტონი | 12 | 2 | 6 | 4 | 9:19 | 12 |
| ლესტერი | 12 | 3 | 2 | 7 | 19:21 | 11 |
| ბლექბერნი | 12 | 3 | 2 | 7 | 17:22 | 11 |
| ასტონ ვილა | 12 | 2 | 5 | 5 | 9:15 | 11 |
| ევერტონი | 12 | 2 | 4 | 6 | 13:17 | 10 |
| ვულვზი | 12 | 2 | 4 | 6 | 8:24 | 10 |
| ლიდსი | 12 | 2 | 2 | 8 | 11:31 | 8 |



ჯოდი მორისი

**დღეიდან** „არსენალის" ოთხი ფეხბურთელის სასჯელის აღსრულება იწყება. ბირმინგემში „მეთოფეებს" დისკვალიფიცირებული კვარტეტი დააკლდებათ — ლორენი, მარტინ კიოუნი, პატრიკ ვიეირა და რეი პარლოუ ვენგერს ვერ დაეხმარებიან. ბრაზილიიდან ლონდონში გუშინ საღამოს დაბრუნებული ჟილბერტო სილვას თამაშიც საეჭვოა. ფრანგი მწვრთნელის თქმით, ჟილბერტო მგზავრობით გადაიღალა და ალბათ დაასვენებს.

პრემიერლიგის ყოჩი ჯერჯერობით დაუმარცხებელია. „ბირმინგემი" განსაკუთრებით კარგად დაცვაში თამაშობს და 12 ტურში მხოლოდ 8 გოლი გაუშვა. ასე რომ, „მეთოფეებს", ტიერი ანრის თამადობით, საკმაოდ ძლიერი წინააღმდეგობა ელით. თავის მხრივ, მასპინძლებს კრისტოფ დიუგარი არ ეყოლებათ, თუმც სტუმართა შესუსტებული უკანა ხაზის გარღვევას ფინელი ფორვარდი მიკაელ ფორსელი შეეცდება, რომელიც „ბირმინგემს" „ჩელსიმ" ერთი წლით დროებით დაუთმო.

„არსენალის" მდევარი „ჩელსი" საუთჰემპტონს ეწვევა. „წმინდანების" ბანაკში სასიხარულო ამბავია: ერთწლიანი შესვენების შემდეგ გუნდს გამოჯანმრთელებული ლატვიელი მეგოლე მარიან პახარსი დაუბრუნდა, რომელიც ნაკრებს სტამბოლშიც ახლდა.

არისტოკრატთა დაცვის ცენტრში შესაძლოა, კვლავ გამოჩნდეს ტრავმამოშუშებული მარსელ დესაი. ფრანგმა გერმანიასთან ამხანაგურ მატჩში ერთი ტაიმი ითამაშა და უკვე საბოლოოდ მომჯობინდა. ერნან კრესპო და ხუან სებასტიან ვერონი წუხელ ჩაფრინდნენ ინგლისში. კლაუდიო რანიერის ფეხბურთელთა ფართო არჩევანი აქვს და შესაძლოა, არგენტინელები დაასვენოს.

„მანჩესტერ იუნაიტედს" შეტევაში პრობლემა ალბათ არ ექნება. რუუდ ვან ნისტელროიმ ჰოლანდია-შოტლანდიის მატჩში ჰეთ თრიქი შეასრულა, დიეგო ფორლანმა კი დუბლი ბრაზილიასთან გააზერზა.

თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ამჟამად ბლექბერნელი დუაიტ იორკი ითამაშებს, ენდი კოული კი დისკვალიფიცირებულია. სტუმრებს ნახევარმცველი დევიდ ტომპსონი ტრავმის გამო დააკლდებათ — შესაძლოა, მან სეზონის ბოლომდე დაისვენოს.

ვალებში და ცხრილის ბოლოში ჩაფლული „ლიდსი" ახლა უკვე ახალი მწვრთნელის, ედი გრეის მეთაურობით „ბოლტონს" უმასპინძლებს. იორკშირელთა ფეხბურთელი ჯოდი მორისი გასულ კვირას სასამართლოში გამოიძახეს 17 წლის გოგოს გაუპატიურებასთან დაკავშირებით, მაგრამ ისედაც გაჭირვებაში მყოფი კლუბი მის დასჯას არ აპირებს. გრეის გუნდში სავარაუდოდ მორისიც ითამაშებს და ყოფილი თავკაცის, პიტერ რიდისგან მოძულებული მარკ ვიდუკაც.

ბოლტონელთა შორის შესაძლოა, იბრაჰიმ ბას დებიუტი შედგეს, რომლის გარჯითაც სემ ალარდაისი კმაყოფილია.

„ევერტონის" მწვრთნელი დევიდ მოიესი და გუნდის შოტლანდიელი ფორვარდი დანკან ფერგიუსონი გასულ ორშაბათს წაკინკლავდნენ და მათ შორის ჯერ მშვიდობის მტრედი არ ჩამოფრენილა. ამიტომ შოტლანდიელი „ლურჯებს" ვერ დაეხმარება, თუმც მასპინძლებს ჰყავთ უეინ რუნი, რომელმაც ეროვნულ ნაკრებში დანიასთან მატჩში ერთი კოხტა გოლი და საგოლე პასი მიითვალა.

„ვულვერჰემპტონის" ნახევარმცველი, 36 წლის ალექს რეი თუ ითამაშებს, მისთვის ეს მატჩი კარიერაში საიუბილეო, მე-500 იქნება.

ბოლოჟამს გამოღვიძებული „ლესტერი" ამ სეზონის სიურპრიზს, „ჩარლტონს" დაუხვდება. სტუმრებმა მიჯრით ექვსმატჩიანი წაუგებელი სერია გაწელეს და დღეს ალბათ მოგება გაუჭირდებათ. ჩარლტონელებს სამხრეთაფრიკელი ფორვარდი შონ ბარტლეტი დაუშავდათ და მას მკურნალობის სამთვიანი კურსი ელის. ასევე ვერ ითამაშებენ კლაუს იენსენი და სკოტ პარკერი.

ლესტერივით გონსმოსული „მიდლსბრო" „ლივერპულს" უმასპინძლებს. „ბოროს" ბანაკში ყველა ჯანზეა და ტრავმებს მერსისაიდელებიც არ უჩივიან. მაიკლ ოუენმა და სტივენ ჯერარდმა სანაკრებო მატჩი გამოტოვეს, მაგრამ სადღეისოდ მომჯობინდნენ და ეგებ ძირითად შემადგენლობაში ითამაშონ.

„ნიუკასლ იუნაიტედი" „მანჩესტერ სიტის" შეებრძოლება. სტუმართა გამოჯანმრთელებული ფორვარდი ტრევორ სინკლერი კევინ კიგანის განკარგულებაშია, ამერიკელი კლაუდიო რეინა კი საექიმო გახდა.

## იტალია

ვაჟა ხუციშვილი



ანტონიო კასანომ საქმე საბოდიშოდ გაიხადა

# მშვიდად, დანა არ იქნება! ვინ შეკაზმავს ვირს?

| X ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| მოდენა | — | იუვენტუსი |
| ინტერი | — | რეჯინა |
| **ხვალ** | | |
| ანკონა | — | ბრეშა |
| ბოლონია | — | რომა |
| კიევო | — | მილანი |
| ემპოლი | — | პარმა |
| ლაციო | — | პერუჯა |
| ლეჩე | — | სამპდორია |
| უდინეზე | — | სიენა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 9 | 7 | 2 | 0 | 23:9 | 23 |
| რომა | 9 | 6 | 3 | 0 | 18:3 | 21 |
| მილანი | 9 | 6 | 3 | 0 | 16:4 | 21 |
| პარმა | 9 | 5 | 3 | 1 | 16:9 | 18 |
| ინტერი | 9 | 4 | 4 | 1 | 11:5 | 16 |
| ლაციო | 9 | 5 | 1 | 3 | 15:12 | 16 |
| კიევო | 9 | 4 | 2 | 3 | 12:10 | 14 |
| მოდენა | 9 | 4 | 2 | 3 | 10:8 | 14 |
| სამპდორია | 9 | 3 | 3 | 3 | 9:10 | 12 |
| უდინეზე | 9 | 3 | 2 | 4 | 12:13 | 11 |
| სიენა | 9 | 2 | 4 | 3 | 11:9 | 10 |
| რეჯინა | 9 | 1 | 6 | 2 | 10:13 | 9 |
| ბრეშა | 9 | 1 | 4 | 4 | 14:20 | 7 |
| ლეჩე | 9 | 2 | 1 | 6 | 11:21 | 7 |
| ბოლონია | 9 | 1 | 3 | 5 | 9:13 | 6 |
| პერუჯა | 9 | 0 | 6 | 3 | 11:18 | 6 |
| ანკონა | 9 | 0 | 3 | 6 | 4:18 | 3 |
| ემპოლი | 9 | 0 | 2 | 7 | 5:22 | 2 |

**ზედიზედ** ორი ფრის შემდეგ „მილანს" ვერონაში გამარჯვება სურს. „შავ-წითლებს" „კიევოსთან" სტუმრად ორჯერ უთამაშიათ. ერთხელ ქულას გამორჩნენ, მეორედ კი წააგეს. „მფრინავი ვირები" მილანელებმა ვერონაში ჯერჯერობით ვერ გაზედნეს და ეგებ ხვალ მოახერხონ.

კარლო ანჩელოტის ტრავმირებული პაოლო მალდინი არ ეყოლება. ფილიპო ინძაგის თამაში საეჭვოა და „პიპო" შესაძლოა, იონ დალ ტომასონმა შეცვალოს, რომელსაც ანდრეი შევჩენკო შეუწყვილდება. დანიელმა „სამპდორიასთან" და „იუვენტუსთან" გატანილი გოლების შემდეგ ინგლისთან ამხანაგურ მატჩშიც გამოიჩინა თავი.

„კიევოსთან" მძიმე თამაში გველის — თქვა დალ ტომასონმა — ჩვენი მეტოქე სერია A-ში გამორჩეული გუნდია და ლუიჯი დელ ნერის შეგირდების წინააღმდეგ ყოველთვის გვიჭირს".

კარლო ანჩელოტი სამხრეთ ამერიკიდან დაბრუნებულ ბრაზილიელებს, მეკარე დიდას გარდა, ალბათ დაასვენებს.

„კიევოს", რომელიც ამ სეზონში სტუმრად უკეთ თამაშობს, ვიდრე შინ, მცველი ლორენცო დანა დისკვალიფიკაციის გამო დააკლდება.

მარჩელო ლიპის შემადგენლობას როტაცია არ დასჭირდება, რადგან ჩემპიონთა ლიგაში მომავალი კვირის მატჩი „გალათასარაისთან" გადაიდო. ლიპის ორ ფორვარდს შორის არჩევა მოუწევს: დი ვაიომ და ტრეზეგემ სანაკრებო ამხანაგურ მატჩებში გოლები გაიტანეს და ახლა მწვრთნელის გადასაწყვეტია, რომელს ათამაშებს.

მილანის „ინტერის" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები ჯანზე არიან. ალბერტო ძაკერონის გუნდს ლიდერთა სამეულთან მისაახლოვებლად კარგი შანსი აქვს, რადგან „ინტერს" „რეჯინას" ძლევა ნაღდად შეუძლია.

„ემპოლის" ჯერჯერობით მწვრთნელის შეცვლამაც ვერ არგო. სერია A-ს მაჩანჩალებს „პარმასთან" შეხვედრა ელით, რომელსაც კვლავ არ ეყოლება ბრაზილიელი ადრიანო და მის ნაცვლად ალბერტო ჯილარდინო ითამაშებს.

შინ „ჩელსისთან", შემდეგ კი „რომასთან" მარცხი „ლაციოს" მოსაგებად უბიძგებს. რობერტო მანჩინის კლაუდიო ლოპესისა და სტეფანო ფიორეს გარეშე მოუწევს ფოონს გასვლა...

„სამპდორიას" ლეჩეში ტრავმირებული კრისტიანო დონი დააკლდება, მასპინძლებს კი მთავარი ნახევარმცველი ურუგვაელი გილერმო ჯაკომაცი არ ეყოლებათ.

უდინეში ერთმანეთს სკანდინაველი ფორვარდები შეხვდებიან. „უდინეზეს" დანიელმა ფორვარდმა მარტინ იორგენსენმა გასულ კვირაში ინგლისელთა კარში ორი გოლი შეაგდო, „სიენას" ტორე ანდრე ფლომ კი ესპანელებთან ვერ იხეირა.

„ანკონას", ჯერ თამაში რომ არ მოუგია, დარიო ჰუბნერი და უილიამ ვიალი დააკლდებიან. „ბრეშას" რობერტო ბაჯოს იმედი აქვს, ბრაზილიელი მატუზალემი კი დისკვალიფიცირებულია.

ბოლონიას „რომა" შეიძლება კასანოს გარეშე ეწვიოს. რომაელთა ფორვარდმა გუნდის ბოლო ვარჯიშზე თვითნებურად მიატოვა მოედანი, რადგან ფაბიო კაპელომ ორმხრივი თამაშისას იგი შემადგენლობაში არ შეიყვანა. კასანო გასახდელში გაუჩინარდა მწვრთნელის თხოვნას ყური არ უგდო, თუმც მოგვიანებით გონს მოკგო და კაპელოს საბოდიშოდ ეახლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანია

დავით თავართქილაძე

## მაიერის მეტაფორა

### ბაიერნი საფრანგეთია, მიუნხენი გერმანია

| XIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ვოლფსბურგი | — | გლადბახი |
| შტუტგარტი | — | ჰანოვერი |
| ვერდერი | — | ბოხუმი |
| კიოლნი | — | ჰამბურგი |
| მიუნხენი | — | ბაიერნი |
| დორტმუნდი | — | ლევერკუზენი |
| შალკე | — | ჰანზა |
| **ხვალ** | | |
| ლაუტერნი | — | ჰერტა |
| ფრაიბურგი | — | აინტრახტი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტუტგარტი | 12 | 9 | 3 | 0 | 19:2 | 30 |
| ლევერკუზენი | 12 | 9 | 2 | 1 | 26:8 | 29 |
| ვერდერი | 12 | 9 | 1 | 2 | 34:16 | 28 |
| ბაიერნი | 12 | 7 | 3 | 2 | 29:16 | 24 |
| დორტმუნდი | 12 | 7 | 1 | 4 | 23:17 | 22 |
| ბოხუმი | 12 | 6 | 3 | 3 | 24:13 | 21 |
| ვოლფსბურგი | 12 | 6 | 0 | 6 | 25:23 | 18 |
| მიუნხენი | 12 | 5 | 2 | 5 | 13:16 | 17 |
| ფრაიბურგი | 12 | 4 | 3 | 5 | 18:22 | 15 |
| ჰანოვერი | 12 | 4 | 3 | 5 | 21:28 | 15 |
| შალკე | 12 | 3 | 5 | 4 | 15:19 | 14 |
| ჰამბურგი | 12 | 3 | 3 | 6 | 14:25 | 12 |
| ლაუტერნი | 12 | 4 | 2 | 6 | 13:20 | 11 |
| ჰერტა | 12 | 2 | 5 | 5 | 10:21 | 11 |
| ჰანზა | 12 | 2 | 3 | 7 | 16:21 | 9 |
| აინტრახტი | 12 | 2 | 2 | 8 | 9:19 | 8 |
| გლადბახი | 12 | 1 | 4 | 7 | 8:18 | 7 |
| კიოლნი | 12 | 2 | 1 | 9 | 9:22 | 7 |

„კაიზერსლაუტერნს" დაკლებული აქვს 3 ქულა

მიუხედავად იმისა, რომ გერმანია საპორტუგალიო პლეი ოფში არ მონაწილეობდა, ქვეყანამ მაინც ინერვიულა — ბუნდესნაკრებმა საფრანგეთთან ამხანაგურ მატჩში 0:3 წააგო, თუმც „ნაციონალმანშაფტი" უკვე გამოტირებული უნდა ჰყავდეს სამშობლოს — ორკვირიანი შესვენების შემდეგ დღეს ბუნდესლიგა განახლდება.

საკამათო არაა, რომ ტურის მთავარი მატჩი მიუნხენური დერბია. თქმა არ უნდა, „ოლიმპიაშტადიონი" გაივსება და ნურავინ იფიქრებს, რომ „ბაიერნი" უპირობო ფავორიტია.

ოტმარ ჰიცფელდის გუნდს ცოტა არ იყოს, ფსიქოლოგიურად უჭირს, რაც ჩემპიონთა ლიგაში არცთუ შთამბეჭდავი გამოსვლითაა განპირობებული. სამშაბათს „ბაიერნს" უმძიმესი მატჩი ელის გლაზგოში „სელტიკთან" და ზოგი იმასაც კი ამბობს, ვინძლო, ბაიერნელებმა „1860"-თან ძალები დაზოგონო — აქ ჰიცფელდისეული როტაციის პრინციპი იგულისხმება.

ჰიცფელდის ერთ-ერთი ასისტენტი ლეგენდარული მეკარე ზეპ მაიერიცაა. მას მიუნხენური დერბის პროგნოზს დაეკითხნენ და ასეთი პასუხი მიიღეს: „ჩვენ ვართ საფრანგეთი, „1860" კი გერმანია" — ძნელი მისახვედრი არაა, რომ მაიერმა გერმანია-საფრანგეთის ამასწინანდელ მატჩისგან გამოადნო ეს მეტაფორა.

ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტი მატჩისთვის ემზადება ლიდერი „შტუტგარტი" და მას შოტლანდიელებთან აქვს საქმე გასარკვევი, მაგრამ ფელიქს მაგათის გუნდი „რეინჯერსს" დაუხვდება და ფრეც ხელს აძლევს. სარეპეტიციოდ კი მაგათელები „ჰანოვერს" მასპინძლობენ. „შტუტგარტი" ცენტრალურ მცველებს მოისაკლისებს — მარსელო ბორდონი ტრავმირებულია, ხოლო ფერნანდო მეირა დისკვალიფიცირებული. „ჰანოვერს" კი ორი ფეხბურთელი ჰყავს დასჯილი — მცველი სტივ ჩერუნდოლო და შუახაზელი ნებოისა კრუპნიკოვიჩი.

ძალიან საინტერესო უნდა გამოდგეს დორტმუნდული მატჩი, მაგრამ ისიცაა, რომ ტრავმებითა და დისკვალიფიკაციებით მათიას ზამერის გუნდს 12 ფეხბურთელი აკლია. „ლევერკუზენს" კი საწუწუნო არაფერი აქვს და ცხადია, ბევრად ხელსაყრელ სიტუაციაშია.

ცქიტიშვილ-იაშვილის „ფრაიბურგი" ბუნდესლიგაში მათსავით საამსეზონოდ დაბრუნებულ „აინტრახტს" ხვდება. დღესდღეობით „ფრაიბურგი" მეტოქეზე უკეთეს ფეხბურთს აჩვენებს და ცხრილში „აინტრახტზე" შვიდი საფეხურით ზევითაა, თუმც ეს ბუნდესლიგაა და ასეთი მსჯელობით თავის დამშვიდება არ ეგების.

ლევან კობიაშვილის „შალკეს" როსტოკელების დამარცხება მართებს მიუხედავად იმისა, რომ ორი დისკვალიფიცირებული მცველი არ ეყოლება — ანიბალ მატელანი და ტომაშ ჰაიტო.

ფხიანი ბრძოლაა მოსალოდნელი კაიზერსლაუტერნში. ერიკ გერეტსის გუნდს სამი ტრავმიანი კაცით მოაკლდება — მცველი ჰანი რამზი, ნახევარმცველი ჩირიაკო სფორცა და თავდამსხმელი ვრატისლავ ლოკვენცი. დედაქალაქურ „ჰერტას" ვერ დაეხმარება ბრაზილიელი გამთამაშებელი მარსელინიო, ვინც დისკვალიფიცირებულია.

ერთ მატჩსაც გამოვარჩევდით — ბრემენის „ვერდერს" შინ არასდროს წაუგია „ბოხუმთან" და ვნახოთ, ტრადიციას როგორ გააგრძელებს — „ბოხუმი" ახლა კარგ ფორმაშია და არც „ვერდერს" დაეწუნება რამე. „მუსიკოსებს" ვიქტორ სკრიპნიკი არ ეყოლებათ, ხოლო „ბოხუმს" ბიარნი გუდიონსონი — ორივე ნახევარმცველი ტრავმირებულია.



წინა სეზონის მეორე წრის მიუნხენურ დერბიში კლაუდიო პიზარომ და „ბაიერნმა" თანაქალაქელები ხუთი უპასუხო გოლით დაამამათეს

# ესპანეთი

ლადო ხომერიკი

## მრთიანი ესპანეთი დღეს დაიშლება

**მაშ, ასე,** 15-დღიანი შესვენების შემდეგ ესპანური პრიმერა პირინეულ სტადიონებს ჩვეული ინტრიგის თანხლებით დაუბრუნდება. შესაბამისად, იქაური ინჩასობაც ნორვეგია-ესპანეთის საპლეიოფო ბრძოლაში მიღწეულ ერთიანობას ჯანდაბას იქით გააგზავნის და კვლავინდებურად ვიწრო კუთხურ თუ რეგიონურ მოსისხლე დაჯგუფებებად დაიყოფა. მაგალითად, დღეს „მანუელ რუის დე ლოპერაზე" ერთმანეთს სევილიური და გალისიური კლანები შეასკდებიან, ანუ უფრო გასაგებად თუ ვიტყვით — პრიმერადივიზიონის მე-12 ტურში ვიქტორ ფერნანდესის „ბეტისი" ხავიერ ირურეტას „დეპორტივოს" უმასპინძლებს. დამხვდურთა სატურნირო სიტუაცია არცთუ ისე სახარბიელოა. ჩემპიონატის ცხრილში მე-13 ადგილი, სახიფათო ზონასთან სიახლოვე და, რაც მთავარია, უბოროტესი საფეხბურთო მტრის, თანაქალაქელი „სევილიას" წინ გაშვება „თეთრ-მწვანეთა" ქომაგებს უკვე ძალუმად უკარგავს მოთმინებას. „დეპორი" კი, გაგიხარიათ, პირველ პოზიციაზე ლაღობს და ამ პრესტიჟული ტვირთისგან ხელის გაცლას რომ არ შეეცდება, თავადვე მოგეხსენებათ (ლაკორუნიელებს ზურგს უკან ორ-ორი ქულით მათგან დაშორებული „ვალენსიისა" და „რეალის" საომარი ბრდღვინვა ესმით).

ისტორიული სამატჩო მიმოხილვაც სტუმართა მხარესაა. „ბეტისმა" „რუის დე ლოპერაზე" ბოლოს 30 წლის წინ შეძლო გალისიელ მომხვდურთათვის ერთზე მეტი ბურთის გატანა (1972-73 2:0), ხოლო უკანასკნელი 4 სეზონში საერთოდ უგოლოდ ტოვებს მათი უგერგილობით გალიზიანებულ არენას (3 წაგება და 1 ფრე). სევილიელებს დღევანდელ შეხვედრაში ბრაზილიელი დენილსონი არ ეყოლებათ, „დეპორტივოს" დანაკლისი კი უფრო მძიმეა — ტრავმათა გამო ჯალმინია, ამავისკა, ნაიბეტი და დიეგო ტრისტანი გალისიურ ფლაგმანს ვერაფრით დაეხმარებიან.

სხვა შეხვედრებიდან „ვილიარეალ — ბარსელონასა" და „რეალ-ალბასეტეს" მატჩებია გამოსარჩევი. პრიმერას მეოთხე ადგილოსანი კატალონიური გრანდი თავისი ყოფილი ვარსკვლავის, ხუან რომან რიკელმეს ამჟამინდელ გუნდს დაუპირისპირდება. თუმცა რიკელმე კვლავინდებურად „ბარსას" პატივისმცემელი რჩება და ოდინდელ თანაკლუბელთა მიმართ არანაირი შურისძიების გრძნობა არ ამოძრავებს. „ისინი ჩემი მეგობრები არიან და მათთან თამაშიც მხოლოდ სპორტული მეტოქეობა იქნება, სხვა არაფერი" — განუცხადა არგენტინელმა ესპანურ „მარკას". კასტილიური „რეალი" კი წინა, ავბედით ტურში „სევილიასთან" სამარცხვინო განადგურებას (1:4) გაჭირვებული „ალბასეტეს" გაცამტვერებით დაივიწყებს. სეზარ ფერნანდესის გუნდი პრიმერაშიც და სეგუნდაშიც (!) ერთადერთია, ვინც გასვლით თამაშებში ქულაც ვერ მოიპოვა — 8 მატჩი, 8 წაგება, ბურთების შეფარდება 2-10.



ბრაზილიელი დენილსონი (მარჯვნივ) სავარაუდოდ, დღეს „დეპორტივოს" ვერ შეუტევს

| XII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სოსიედადი | — | მალიორკა |
| ბეტისი | — | დეპორტივო |
| ვილიარეალი | — | ბარსელონა |
| **ხვალ** | | |
| სელტა | — | ბილბაო |
| ესპანიოლი | — | სევილია |
| რასინგი | — | სარაგოსა |
| რეალი | — | ალბასეტე |
| ვალიადოლიდი | — | ატლეტიკო |
| მურსია | — | ვალენსია |
| მალაგა | — | ოსასუნა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 11 | 8 | 1 | 2 | 21:9 | 25 |
| ვალენსია | 11 | 7 | 2 | 2 | 22:7 | 23 |
| რეალი | 11 | 7 | 2 | 2 | 24:13 | 23 |
| ბარსელონა | 11 | 5 | 4 | 2 | 16:11 | 19 |
| ატლეტიკო | 11 | 6 | 1 | 4 | 14:13 | 19 |
| ოსასუნა | 11 | 5 | 3 | 3 | 13:9 | 18 |
| რასინგი | 11 | 5 | 2 | 4 | 15:12 | 17 |
| 23.15 | 516 | ბენფიკა-ამადორა | 1,15 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,05 | 3,72 |
| | | 23 ნოემბერი | | | | | | |
| 19.00 | 517 | ბელენენსეში-ავეში | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 19.00 | 518 | ფერეირა-ოვარენსე | 1,6 | 3,6 | 4,6 | 1,1 | 1,18 | 2,01 |
| 19.00 | 519 | ალვერკა-სეტუბალი | 1,55 | 3,6 | 5,0 | 1,08 | 1,18 | 2,09 |
| 20.00 | 520 | მარიტიმუ-ფეირენსე | 1,25 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,04 |
| 18.30 | 521 | კოვილია-ლეირია | 4,0 | 3,5 | 1,7 | 1,86 | 1,19 | 1,14 |
| 20.00 | 522 | მაია-მადეირა | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 18.30 | 523 | ლეიშოეში-ნავალი | 2,35 | 3,0 | 2,8 | 1,31 | 1,27 | 1,44 |
| | | რუსეთი. თასი | | | | | | |
| | | 1/16 ფინალი. II მატჩები | | | | | | |
| | | 22 ნოემბერი | | | | | | |
| 16.00 | 525 | ყუბანი-სპარტაკი | 3,1 | 3,2 | 1,95 | 1,57 | 1,19 | 1,21 |
| | | უკრაინა | | | | | | |
| | | თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები | | | | | | |
| | | 22 ნოემბერი | | | | | | |
| 16.00 | 527 | სტალი-შახტარი | 9,0 | 5,0 | 1,2 | 3,21 | 1,05 | 1 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 22 ნოემბერი | | | | | | |
| 20.00 | 1042 | პარდუბიცე-სლავია | 1,7 | 4,4 | 3,2 | 1,22 | 1,11 | 1,85 |
| | | რაგბი. მსოფლიოს თასი | | | | | | |
| | | 22 ნოემბერი | | | | | | |
| 13.00 | 1353 | ავსტრალია-ინგლისი | 2,3 | 17,0 | 1,6 | 2,02 | 1 | 1,46 |
| | 1354 | ავსტრალია-ინგლისი 4:0 | 1,85 | 12,0 | 1,85 | | | |
| 7001 | | ავსტრალია მოიგებს 1-5 ქულით | | 5,0 | | | | |
| | | ავსტრალია მოიგეს 6-10 ქულით | | 6,0 | | | | |
| | | ავსტრალია მოიგებს 11-15 ქულით | | 8,0 | | | | |
| | | ავსტრალია მოიგებს 16 ან მეტი ქულით | | 8,0 | | | | |
| | | ინგლისი მოიგებს 1-5 ქულით | | 4,0 | | | | |
| | | ინგლისი მოიგებს 6-10 ქულით | | 4,2 | | | | |
| | | ინგლისი მოიგებს 11-15 ქულით | | 6,5 | | | | |
| | | ინგლისი მოიგებს 16 ან მეტი ქულით | | 6,5 | | | | |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 22 ნოემბერი | | | | | | |
| 16.30 | 5011 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1,4 | 3,4 | 8,0 | 1 | 1,19 | 2,38 |
| 19.00 | 5012 | ბირმინგემი-არსენალი | 4,6 | 2,15 | 2,25 | 1,46 | 1,51 | 1,09 |
| 19.00 | 5013 | ევერტონი-ვულვერჰემპტონი | 2,1 | 2,15 | 5,3 | 1,06 | 1,5 | 1,52 |
| 19.00 | 5014 | ლიდსი-ბოლტონი | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,18 | 1,52 | 1,31 |
| 19.00 | 5015 | ლესტერი-ჩარლტონი | 3,0 | 2,1 | 3,2 | 1,23 | 1,54 | 1,26 |
| 19.00 | 5016 | მიდლსბრო-ლივერპული | 3,5 | 2,1 | 2,7 | 1,31 | 1,52 | 1,18 |
| 19.00 | 5017 | ნიუკასლი-სიტი | 2,2 | 2,15 | 4,8 | 1,08 | 1,5 | 1,48 |
| 19.00 | 5018 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 5,0 | 2,15 | 2,15 | 1,5 | 1,5 | 1,07 |
| 18.30 | 5019 | მიუნხენი-ბაიერნი | 5,6 | 2,2 | 2,0 | 1,57 | 1,47 | 1,04 |
| 18.30 | 5020 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 2,5 | 2,1 | 3,8 | 1,14 | 1,5 | 1,35 |
| 18.30 | 5021 | შალკე-ჰანზა | 1,95 | 2,25 | 5,6 | 1,04 | 1,44 | 1,6 |
| 18.30 | 5022 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1,75 | 2,45 | 6,0 | 1,02 | 1,35 | 1,73 |
| 18.30 | 5023 | ვერდერი-ბოხუმი | 1,9 | 2,25 | 6,0 | 1,03 | 1,44 | 1,63 |
| 18.30 | 5024 | კიოლნი-ჰამბურგი | 3,0 | 2,1 | 3,2 | 1,23 | 1,54 | 1,26 |
| 18.30 | 5025 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 1,85 | 2,3 | 6,0 | 1,02 | 1,41 | 1,66 |
| 21.00 | 5026 | მოდენა-იუვენტუსი | 5,0 | 2,15 | 2,15 | 1,5 | 1,5 | 1,07 |
| 23.30 | 5027 | ინტერი-რეჯინა | 1,45 | 3,2 | 8,0 | 1 | 1,22 | 2,28 |
| 22.30 | 5028 | სოსიედადი-მალიორკა | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |
| 22.30 | 5029 | ბეტისი-დეპორტივო | 3,2 | 2,1 | 3,0 | 1,26 | 1,54 | 1,23 |
| 00.30 | 5030 | ვილიარეალი-ბარსელონა | 3,4 | 2,1 | 2,8 | 1,29 | 1,53 | 1,19 |
| | | 23 ნოემბერი | | | | | | |
| 20.05 | 5031 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 2,35 | 2,1 | 4,4 | 1,1 | 1,53 | 1,42 |
| 20.30 | 5032 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 2,5 | 2,1 | 3,8 | 1,14 | 1,5 | 1,35 |
| 20.30 | 5033 | ფრაიბურგი-აინტრახტი | 2,05 | 2,2 | 5,3 | 1,06 | 1,47 | 1,55 |
| 18.00 | 5034 | ანკონა-ბრეშა | 3,0 | 2,05 | 3,3 | 1,21 | 1,57 | 1,26 |
| 18.00 | 5035 | ბოლონია-რომა | 4,8 | 2,05 | 2,3 | 1,43 | 1,55 | 1,08 |
| 18.00 | 5036 | ემპოლი-პარმა | 4,6 | 2,05 | 2,35 | 1,41 | 1,55 | 1,09 |
| 18.00 | 5037 | ლაციო-პერუჯა | 1,7 | 2,5 | 6,5 | 1,01 | 1,34 | 1,8 |
| 18.00 | 5038 | ლეჩე-სამპდორია | 2,9 | 2,05 | 3,4 | 1,2 | 1,56 | 1,27 |
| 18.00 | 5039 | უდინეზე-სიენა | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 23.30 | 5040 | კიევო-მილანი | 4,8 | 2,05 | 2,3 | 1,43 | 1,55 | 1,08 |
| 20.00 | 5041 | ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 2,9 | 2,1 | 3,3 | 1,21 | 1,54 | 1,28 |
| 20.00 | 5042 | მალაგა-ოსასუნა | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,11 | 1,54 | 1,37 |
| 20.00 | 5043 | ესპანიოლი-სევილია | 3,2 | 2,05 | 3,1 | 1,24 | 1,57 | 1,23 |
| 20.00 | 5044 | სელტა-ბილბაო | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,11 | 1,54 | 1,37 |
| 20.00 | 5045 | რასინგი-სარაგოსა | 2,2 | 2,15 | 4,8 | 1,08 | 1,5 | 1,48 |
| 22.00 | 5046 | რეალი-ალბასეტე | 1,2 | 4,8 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,13 |
| 24.00 | 5047 | მურსია-ვალენსია | 5,0 | 2,15 | 2,15 | 1,5 | 1,5 | 1,07 |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 24.00 | 5048 | ფულემი-პორტსმუთი | 2,3 | 2,1 | 4,6 | 1,09 | 1,53 | 1,44 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 22 ნოემბერი | | |
| 16.30 | 5411 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1,2 | 4,0 |
| 19.00 | 5412 | ბირმინგემი-არსენალი | 2,5 | 1,55 |
| 19.00 | 5413 | ევერტონი-ვულვერჰემპტონი | 1,45 | 2,8 |
| 19.00 | 5414 | ლიდსი-ბოლტონი | 1,8 | 2,0 |
| 19.00 | 5415 | ლესტერი-ჩარლტონი | 1,9 | 1,9 |
| 19.00 | 5416 | მიდლსბრო-ლივერპული | 2,0 | 1,8 |
| 19.00 | 5417 | ნიუკასლი-სიტი | 1,55 | 2,5 |
| 19.00 | 5418 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 2,6 | 1,5 |
| 18.30 | 5419 | მიუნხენი-ბაიერნი | 2,8 | 1,45 |
| 18.30 | 5420 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 1,75 | 2,1 |
| 18.30 | 5421 | შალკე-ჰანზა | 1,45 | 2,8 |
| 18.30 | 5422 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1,3 | 3,4 |
| 18.30 | 5423 | ვერდერი-ბოხუმი | 1,4 | 3,0 |
| 18.30 | 5424 | კიოლნი-ჰამბურგი | 1,9 | 1,9 |
| 18.30 | 5425 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 1,4 | 3,0 |
| 21.00 | 5426 | მოდენა-იუვენტუსი | 2,5 | 1,55 |
| 23.30 | 5427 | ინტერი-რეჯინა | 1,2 | 4,0 |
| 22.30 | 5428 | სოსიედადი-მალიორკა | 1,5 | 2,6 |
| 22.30 | 5429 | ბეტისი-დეპორტივო | 1,95 | 1,85 |
| 00.30 | 5430 | ვილიარეალი-ბარსელონა | 2,0 | 1,8 |
| | | 23 ნოემბერი | | |
| 20.05 | 5431 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 1,65 | 2,3 |
| 20.30 | 5432 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 1,75 | 2,1 |
| 20.30 | 5433 | ფრაიბურგი-აინტრახტი | 1,5 | 2,6 |
| 18.00 | 5434 | ანკონა-ბრეშა | 1,85 | 1,95 |
| 18.00 | 5435 | ბოლონია-რომა | 2,3 | 1,65 |
| 18.00 | 5436 | ემპოლი-პარმა | 2,2 | 1,7 |
| 18.00 | 5437 | ლაციო-პერუჯა | 1,25 | 3,7 |
| 18.00 | 5438 | ლეჩე-სამპდორია | 1,85 | 1,95 |
| 18.00 | 5439 | უდინეზე-სიენა | 1,5 | 2,6 |
| 23.30 | 5440 | კიევო-მილანი | 2,3 | 1,65 |
| 20.00 | 5441 | ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 1,8 | 2,0 |
| 20.00 | 5442 | მალაგა-ოსასუნა | 1,7 | 2,2 |
| 20.00 | 5443 | ესპანიოლი-სევილია | 1,9 | 1,9 |
| 20.00 | 5444 | სელტა-ბილბაო | 1,7 | 2,2 |
| 20.00 | 5445 | რასინგი-სარაგოსა | 1,55 | 2,5 |
| 22.00 | 5446 | რეალი-ალბასეტე | 1,1 | 5,0 |
| 24.00 | 5447 | მურსია-ვალენსია | 2,4 | 1,6 |
| | | 24 ნოემბერი | | |
| 24.00 | 5448 | ფულემი-პორტსმუთი | 1,65 | 2,3 |

| | | 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 22 ნოემბერი | | | | | | | | | |
| 16.30 | 5111 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 30,0 | 17,0 | 17,0 |
| 19.00 | 5112 | ბირმინგემი-არსენალი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 19.00 | 5113 | ევერტონი-ვულვერჰემპ. | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 19.00 | 5114 | ლიდსი-ბოლტონი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 19.00 | 5115 | ლესტერი-ჩარლტონი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 19.00 | 5116 | მიდლსბრო-ლივერპული | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 19.00 | 5117 | ნიუკასლი-სიტი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 19.00 | 5118 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 18.30 | 5119 | მიუნხენი-ბაიერნი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 18.30 | 5120 | დორტმუნდი-ლევერკუზ. | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 18.30 | 5121 | შალკე-ჰანზა | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 18.30 | 5122 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 18.30 | 5123 | ვერდერი-ბოხუმი | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 18.30 | 5124 | კიოლნი-ჰამბურგი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 18.30 | 5125 | ვოლფსბ.-მ.გლადბახი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 21.00 | 5126 | მოდენა-იუვენტუსი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 23.30 | 5127 | ინტერი-რეჯინა | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 30,0 | 17,0 | 17,0 |
| 22.30 | 5128 | სოსიედადი-მალიორკა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 22.30 | 5129 | ბეტისი-დეპორტივო | 4,2 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 00.30 | 5130 | ვილიარ.-ბარსელონა | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| | | 23 ნოემბერი | | | | | | | | | |
| 20.05 | 5131 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 20.30 | 5132 | კ.ლაუტერნი-ჰერტა | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 20.30 | 5133 | ფრაიბურგი-აინტრახტი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 18.00 | 5134 | ანკონა-ბრეშა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 18.00 | 5135 | ბოლონია-რომა | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 18.00 | 5136 | ემპოლი-პარმა | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,9 |
| 18.00 | 5137 | ლაციო-პერუჯა | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 4,6 | 14,0 | 25,0 | 14,0 | 14,0 |
| 18.00 | 5138 | ლეჩე-სამპდორია | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 18.00 | 5139 | უდინეზე-სიენა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 23.30 | 5140 | კიევო-მილანი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 20.00 | 5141 | ვალიადოლ.-ატლეტიკო | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 20.00 | 5142 | მალაგა-ოსასუნა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 20.00 | 5143 | ესპანიოლი-სევილია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 20.00 | 5144 | სელტა-ბილბაო | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 20.00 | 5145 | რასინგი-სარაგოსა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 22.00 | 5146 | რეალი-ალბასეტე | 1,3 | 25,0 | 50,0 | 3,5 | 7,0 | 25,0 | 35,0 | 25,0 | 25,0 |
| 24.00 | 5147 | მურსია-ვალენსია | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | | | | |
| 24.00 | 5148 | ფულემი-პორტსმუთი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **22 ნოემბერი** | | | |
| 16.30 | 5511 | მანჩესტერი-ბლეკბერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5512 | ბირმინგემი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5513 | ევერტონი-ვულვერჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5514 | ლიდსი-ბოლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5515 | ლესტერი-ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5516 | მიდლსბრო-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5517 | ნიუკასლი-სიტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5518 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5519 | მიუნხენი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5520 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5521 | შალკე-ჰანზა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5522 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5523 | ვერდერი-ბოხუმი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5524 | კიოლნი-ჰამბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5525 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 5526 | მოდენა-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 5527 | ინტერი-რეჯინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.30 | 5528 | სოსიედადი-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.30 | 5529 | ბეტისი-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 5530 | ვილიარეალი-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **23 ნოემბერი** | | | |
| 20.05 | 5531 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.30 | 5532 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.30 | 5533 | ფრაიბურგი-აინტრახტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5534 | ანკონა-ბრეშა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5535 | ბოლონია-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5536 | ემპოლი-პარმა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5537 | ლაციო-პერუჯა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5538 | ლეჩე-სამპდორია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5539 | უდინეზე-სიენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 5540 | კიევო-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5541 | ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5542 | მალაგა-ოსასუნა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5543 | ესპანიოლი-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5544 | სელტა-ბილბაო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5545 | რასინგი-სარაგოსა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 5546 | რეალი-ალბასეტე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 5547 | მურსია-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **24 ნოემბერი** | | | |
| 24.00 | 5548 | ფულემი-პორტსმუთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **22 ნოემბერი** | | |
| 16.30 | 5211 | მანჩესტერი-ბლეკბერნი | 2,2 | 1,5 |
| 19.00 | 5212 | ბირმინგემი-არსენალი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5213 | ევერტონი-ვულვერჰემპტონი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5214 | ლიდსი-ბოლტონი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5215 | ლესტერი-ჩარლტონი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5216 | მიდლსბრო-ლივერპული | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5217 | ნიუკასლი-სიტი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5218 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 5219 | მიუნხენი-ბაიერნი | 2,1 | 1,55 |
| 18.30 | 5220 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 5221 | შალკე-ჰანზა | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 5222 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 5223 | ვერდერი-ბოხუმი | 2,2 | 1,5 |
| 18.30 | 5224 | კიოლნი-ჰამბურგი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 5225 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 2,0 | 1,6 |
| 21.00 | 5226 | მოდენა-იუვენტუსი | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 5227 | ინტერი-რეჯინა | 1,95 | 1,65 |
| 22.30 | 5228 | სოსიედადი-მალიორკა | 1,9 | 1,7 |
| 22.30 | 5229 | ბეტისი-დეპორტივო | 1,8 | 1,8 |
| 00.30 | 5230 | ვილიარეალი-ბარსელონა | 1,9 | 1,7 |
| | | **23 ნოემბერი** | | |
| 20.05 | 5231 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 1,75 | 1,85 |
| 20.30 | 5232 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 1,95 | 1,65 |
| 20.30 | 5233 | ფრაიბურგი-აინტრახტი | 2,0 | 1,6 |
| 18.00 | 5234 | ანკონა-ბრეშა | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 5235 | ბოლონია-რომა | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 5236 | ემპოლი-პარმა | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 5237 | ლაციო-პერუჯა | 1,95 | 1,65 |
| 18.00 | 5238 | ლეჩე-სამპდორია | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 5239 | უდინეზე-სიენა | 1,85 | 1,75 |
| 23.30 | 5240 | კიევო-მილანი | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 5241 | ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 5242 | მალაგა-ოსასუნა | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 5243 | ესპანიოლი-სევილია | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 5244 | სელტა-ბილბაო | 1,9 | 1,6 |
| 20.00 | 5245 | რასინგი-სარაგოსა | 1,85 | 1,75 |
| 22.00 | 5246 | რეალი-ალბასეტე | 2,7 | 1,3 |
| 24.00 | 5247 | მურსია-ვალენსია | 1,85 | 1,75 |
| | | **24 ნოემბერი** | | |
| 24.00 | 5248 | ფულემი-პორტსმუთი | 1,8 | 1,8 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **22 ნოემბერი** | | |
| 16.30 | 5311 | მანჩესტერი-ბლეკბერნი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5312 | ბირმინგემი-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5313 | ევერტონი-ვულვერჰემპტონი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 5314 | ლიდსი-ბოლტონი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5315 | ლესტერი-ჩარლტონი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5316 | მიდლსბრო-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5317 | ნიუკასლი-სიტი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5318 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 5319 | მიუნხენი-ბაიერნი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 5320 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 5321 | შალკე-ჰანზა | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 5322 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1,75 | 1,85 |
| 18.30 | 5323 | ვერდერი-ბოხუმი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 5324 | კიოლნი-ჰამბურგი | 1,55 | 2,1 |
| 18.30 | 5325 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 5326 | მოდენა-იუვენტუსი | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 5327 | ინტერი-რეჯინა | 1,75 | 1,85 |
| 22.30 | 5328 | სოსიედადი-მალიორკა | 1,65 | 1,95 |
| 22.30 | 5329 | ბეტისი-დეპორტივო | 1,65 | 1,95 |
| 00.30 | 5330 | ვილიარეალი-ბარსელონა | 1,6 | 2,0 |
| | | **23 ნოემბერი** | | |
| 20.05 | 5331 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 1,75 | 1,85 |
| 20.30 | 5332 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 1,6 | 2,0 |
| 20.30 | 5333 | ფრაიბურგი-აინტრახტი | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 5334 | ანკონა-ბრეშა | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 5335 | ბოლონია-რომა | 1,6 | 2,0 |
| 18.00 | 5336 | ემპოლი-პარმა | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 5337 | ლაციო-პერუჯა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5338 | ლეჩე-სამპდორია | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5339 | უდინეზე-სიენა | 1,65 | 1,95 |
| 23.30 | 5340 | კიევო-მილანი | 1,6 | 2,0 |
| 20.00 | 5341 | ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 5342 | მალაგა-ოსასუნა | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 5343 | ესპანიოლი-სევილია | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 5344 | სელტა-ბილბაო | 1,6 | 2,0 |
| 20.00 | 5345 | რასინგი-სარაგოსა | 1,6 | 2,0 |
| 22.00 | 5346 | რეალი-ალბასეტე | 1,9 | 1,7 |
| 24.00 | 5347 | მურსია-ვალენსია | 1,65 | 1,95 |
| | | **24 ნოემბერი** | | |
| 24.00 | 5348 | ფულემი-პორტსმუთი | 1,75 | 1,85 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 22.11 16.30 | 5601 | ინგლისი პლ (XIII) | 25 და ნაკლები - 1,9; 27 და მეტი - 1,9 |
| 22.11 18.30 | 5602 | გერმანია ბლ (XIII) | 25 და ნაკლები - 1,9; 27 და მეტი - 1,9 |
| 22.11 21.00 | 5603 | იტალია A (X) | 23 და ნაკლები - 1,9; 25 და მეტი - 1,9 |
| 22.11 22.30 | 5604 | ესპანეთი Iდ (XII) | 25 და ნაკლები - 1,9; 27 და მეტი - 1,9 |
| 21.11 23.30 | 5605 | საფრანგეთი Iდ (XIV) | 21 და ნაკლები - 1,9; 23 და მეტი - 1,9 |
| 21.11 23.00 | 5607 | ჰოლანდია Iდ (XII) | 25 და ნაკლები - 1,9; 27 და მეტი - 1,9 |
| 21.11 23.30 | 5608 | ბელგია Iდ (XIII) | 25 და ნაკლები - 1,9; 27 და მეტი - 1,9 |

# საუკეთესო პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004“

## მესამე ეტაპის წინასწარი შედეგები

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ვეშაპიძე გია შოთას ძე(მცხეთა) | 288(41-28-43-33-23-38-44-44-37-41-18-26) |
| 2 | ფეიქრიშვილი მერაბ ჯემალის ძე(თბილისი) | 283(36-23-41-39-21-44-25-38-41-44-23-28) |
| 3 | ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე(თბილისი) | 279(41-31-33-31-16-49-41-43-33-39-26-26) |
| 4 | ბუხნიკაშვილი ხვიჩა რევაზის ძე(თბილისი) | 275(36-28-41-36-20-36-31-44-41-41-29-31) |
| 5 | სულაშვილი ვაჟა თედოს ძე(თბილისი) | 272(36-36-41-38-26-36-34-47-34-38-30-15) |
| 6 | ჭუმბურიძე კახა ზაურის ძე(მცხეთა) | 266(44-31-36-28-18-0-31-41-42-41-23-21) |
| 7 | ფარცვანია ფრიდონ ლუდას ძე(თბილისი) | 265(44-25-41-36-15-41-28-36-34-33-33-26) |
| 8 | გოგონაძე ჯაბა ბადრის ძე(ქუთაისი) | 264(41-26-44-28-10-36-36-38-31-38-21-0) |
| 9-10 | ჟღენტი დიმიტრი გიორგის ძე(თბილისი) | 263(42-33-44-26-28-38-28-30-34-33-26-39) |
| 9-10 | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე(თბილისი) | 263(28-23-23-37-33-41-31-40-43-33-36) |
| 11 | კერესელიძე იური პეტრეს ძე(თბილისი) | 261(36-15-34-23-5-42-28-46-31-44-26-13) |
| 12-13 | კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე(ქუთაისი) | 260(46-28-35-28-30-35-31-38-39-36-31-0) |
| 12-13 | სოლოღაშვილი თეიმურაზ შოთას ძე(თბილისი) | 260(31-20-41-42-23-38-34-35-34-36-24-21) |
| 14 | ხუროშვილი გიორგი გელას ძე(თბილისი) | 258(28-30-39-31-18-41-42-30-36-39-21-21) |
| 15 | ჭანტურია სოსო კობას ძე(ქუთაისი) | 257(36-0-36-20-0-31-52-33-31-38-31-0) |
| 16-18 | ბახტაძე ირაკლი ნიკოლოზის ძე(თბილისი) | 256(33-20-30-28-18-41-33-41-34-44-18-10) |
| 16-18 | ნინიაშვილი ვაჟა ანდროს ძე(თბილისი) | 256(39-10-23-31-23-44-34-33-36-31-39-26) |
| 16-18 | ნიკლაური მაია ინგურის ას(თბილისი) | 256(39-33-36-33-26-38-34-36-37-36-18-26) |
| 19 | გვინჩიძე გურამ ვალერის ძე(თბილისი) | 255(36-28-33-33-18-38-39-40-36-33-29-25) |
| 20 | მირიანაშვილი მიხეილ გიორგის ძე(თბილისი) | 254(28-20-38-31-18-44-0-46-31-36-20-10) |
| 21 | სალუქვაძე ლევან ვალერიანის ძე(თბილისი) | 253(31-23-33-42-15-36-21-36-42-33-0-0) |
| 22 | სანიკიძე დავით შოთას ძე(თბილისი) | 252(31-33-25-33-18-44-28-44-39-28-23-0) |
| 23-26 | თევდორაძე ვარლამ გივის ძე(ქუთაისი) | 250(33-15-26-31-10-41-29-36-39-41-0-0) |
| 23-26 | ჟვანია სანდრო ბესოს ძე(თბილისი) | 250(28-0-38-36-20-44-23-40-26-33-23-31) |
| 23-26 | ფაცია გიორგი მურმანის ძე(თბილისი) | 250(31-25-39-30-13-36-37-33-33-41-26-0) |
| 23-26 | ჯორბენაძე სერგი სანდროს ძე(თბილისი) | 250(34-28-31-31-15-0-20-43-45-38-18-21) |

## III ეტაპის XII ტურის წინასწარი შედეგები

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქ. |
|---|---|---|
| 1 | ჟღენტი დიმიტრი გიორგის ძე | 39 |
| 2-8 | ბუხნიკაშვილი ხვიჩა რევაზის ძე | 31 |
| 2-8 | გოგოლაძე გიორგი ჯამბულის ძე | 31 |
| 2-8 | მელიწკაური ლევან ვალერიანის ძე | 31 |
| 2-8 | ჟვანია სანდრო ბესოს ძე | 31 |
| 2-8 | რაზმაძე რევაზ სევერიანის ძე | 31 |
| 2-8 | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | 31 |
| 2-8 | ცხვედიანი თეიმურაზ ვაჟას ძე | 31 |
| 9 | რურუა ჟიულენ ჟანის ძე | 30 |
| 10-12 | გეგეჭკორი გია როინის ძე | 28 |
| 10-12 | ფეიქრიშვილი მერაბ ჯემალის ძე | 28 |
| 10-12 | ხარხელაური ვლადიმერ ლევანის ძე | 28 |
| 13-24 | ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე | 26 |
| 13-24 | დანელია მამუკა მიხეილის ძე | 26 |
| 13-24 | ვეშაპიძე გია შოთას ძე | 26 |
| 13-24 | თორდია ვალერიან ვალერიანის ძე | 26 |
| 13-24 | კალანდარიშვილი ზაალ ალექსანდრეს ძე | 26 |
| 13-24 | მუმლაძე აკაკი დომენტის ძე | 26 |
| 13-24 | ნინიაშვილი ვაჟა ანდროს ძე | 26 |
| 13-24 | ნუცუბიძე ალექსანდრე სერგოს ძე | 26 |
| 13-24 | ჟორდანია ბაქარ აპოლონის ძე | 26 |
| 13-24 | ფარცვანია ფრიდონ ლუდას ძე | 26 |
| 13-24 | ქებულაძე თამაზ ვარლამის ძე | 26 |
| 13-24 | წიკლაური მაია ინგურის ას | 26 |
| 25 | გვინჩიძე გურამ ვალერის ძე | 25 |

შედეგების გაპროტესტება შეიძლება 29 ნოემბრამდე 11-დან 15 საათამდე გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში, აბლაძის 39ა, მე-3 სართული (გარდა შაბათისა და კვირისა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# RUGBY WORLD CUP 2003

## ფინალი

*დღეს, „ტელსტრას“ მინდორზე, სიდნეიში, რაგბის მსოფლიოს თასის ფინალია: ავსტრალია — ინგლისი, მასპინძელი და სტუმარი. მასპინძელი, რომელიც სტუმარს დასცინებს ხოლმე და სტუმარი, რომელიც მასპინძლადაც თვლის თავს. ინგლისი და კატორლის ფესვებზე აღმოცენებული ინგლისი. ისინი ერთმანეთს ხვდებიან 1909 წლიდან და ფრედ ერთადერთხელ დაუმთავრებიათ შეხვედრა ექვსი წლის წინათ, თვიქნემში. ავსტრალია წინაა, 16 მოგებით 11-ის წინააღმდეგ, ოღონდაც მეოთხე წელიწადია, ოთხჯერ წაუგია ინგლისელებთან, იმათ შორის ბოლოჯერ წლეულს, მელბურნში და ეს გამარჯვება ინგლისელთათვის პირველი გამოდგა 94 წლის განმავლობაში, ოზების მიწაზე რომ მოუპოვებიათ*



„ვოლაბების“ გიდი ედი ჯონსი

REUTERS



„ვარდების“ თავკაცი კლაივ ვუდვორდი

REUTERS

### ავსტრალია VS ინგლისი

22 ნოემბერი. სიდნეი. «ტელსტრა სთედიუმი»

# პრიმადონები შინ დარჩნენ

## ინგლისელი იომენები ინგლისელ კატორღელებს ეომებიან

**გიო ახვლედიანი**
**ლონდონიდან**

ახლა კი სიდნეისკენ დაძრულია კიდევ 40 ათასი ინგლისელი ქომაგი, რომლებიც იმათ შეუერთდებიან, ვინც მთელი თვის განმავლობაში ქომაგობდა გუნდს, რომელსაც ოზები პომებს უწოდებენ. ინგლისელთა კაპიტან მარტინ ჯონსონს დღეს ბოლო მატჩი აქვს, ძველი პირობით, ის სანაკრებო თამაშს ეთხოვება. ბევრი სხვა ათასიც ხდება ინგლისელთა ბანაკში, ხოლო ავსტრალიელები, ბოლოს და ბოლოს ჩემპიონობის მოიმედე ინგლისელებს ორი დამცინავი ლოზუნგით ხვდებიან. ერთი ეს არის ჯონი უილკინსონის პლაკატი, რომელსაც მიმტევებლური შეკითხვა ამშვენებს — „და ეს არის ყველაფერი, რაც თქვენ გაქვთ?“; და მეორეც ასევე ცნობილი პლაკატი, ინგლისელთა ბანაკთან რომ გამოჩნდა — „აქ ვარჯიშობს მსოფლიოს ყველაზე მოსაწყენი გუნდი.“

„მოსაწყენი? — ეცინება ინგლისელთა თავკაც კლაივ ვუდვორდს — ბოლი ოთხი თამაშიდან ოთხივე მოვუგეთ და გინდათ მოსაწყენი დაუძახონ ამას და გინდათ კიდევ უარესი. აქ მსოფლიოს თასის მოსაგებად ჩამოვედით. მსოფლიოს თასი რომ მოიგო, თამაშები უნდა მოიგო. ჰოდა, ჩვენც ვიგებთ. თუ მათ მოსაწყენი რაგბი უნდათ, ჩვენ შეგვიძლია ამის თამაშიც. ისეთ რამეს შევთავაზებთ, როგორიც არასოდეს უნახავთ.“

ინგლისური მედია კი ამ სარაგბო ფინალის წინ სულ სხვა ფინალს იხსენებს, 1966 წლის საფეხბურთო მსოფლიოს თასისას, რომელშიაც ინგლისმა თავის ისტორიაში ერთადერთხელ გაიმარჯვა. ის გამარჯვება თითქოს მორაგბეთა გამარჯვების ისტორიულ საფუძვლად გამოიყენება, ისევე, როგორც ლიგის (13-კაცა) რაგბის ინგლისისავე ნაკრების 1972 წლის გუნდის დაუვიწყარი წარმატება.

მეტიც, კლაივ ვუდვორდს პირდაპირ ადარებენ ფეხბურთელთა მაშინდელ მწვრთნელს ალფ რამსეის.

იმ ფინალის მეორე დღეს ნაზეიმები ინგლისის ნაკრების ფეხბურთელები უკვე შინისაკენ ეშურებოდნენ და ფინალში ჰეთ თრიქის შემსრულებელმა ჯეფ ჰერსტმა მწვრთნელს ხელი გაუწოდა — „სექტემბრამდე, ალფ.“ „ჰო, სექტემბრამდე — დინჯად შეხედა მწვრთნელმა — თუ თავს გამოიჩენ და ნაკრებში მოხვდები.“

ამ კაცისთვის მსოფლიოს თასის ფინალების ისტორიაში ერთადერთი ჰეთ თრიქიც კი არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ მისი ავტორი ორი თვის შემდეგ ნაკრებში მიეწვია.

ეს სიმკაცრე და უხეშობაც კი ძალაუნებურად ადარებს ალფ რამსეის მორაგბეთა დღევანდელ მწვრთნელ კლაივ ვუდვორდს. არჩევასა და გამოძახებაში ის არაადამიანურად, დაუნდობლად მკაცრია. მაგალითად, მაიკ ქეთი, რომელმაც მეოთხედ და ნახევარფინალები ითამაშა, ახლა თხუთმეტ კაცს გარეთაა და ძირითადში მაიკ ტინდალი ბრუნდება. გუნდში საქმე ისეა, რომ ქეთმა გუშინ სიმწრით გაუცინა ტინდალს და თითქოს ეს ამბავი რაღაცით ჰგავს იმას, რამსეიმ რომ მოახდინა 1966 წელს, როცა ჯიმი გრივსის ადგილი ჰერსტს გადაულოცა და ჰერსტმა კი გაუმართლა.

ჯორჯ კოენი, რამსეის იმ გუნდის მოთამაშე და ვუდვორდის ამჟამინდელი გუნდის მოთამაშის ბენ კოენის ბიძა იგონებს — „ჯიმი ისე იტანჯებოდა, რომ მისთვის შეხედვაც კი გვიჭირდა. ჯიმი ისე იყო, რომ საჩემპიონო ბანკეტზეც კი არ მოვიდა, ბობი მურს, კაპიტანს და მისი ოთახის ამხანაგს რამსეისთვის მობოდიშებაც მოუწიათ.“

მარტინ ჯონსონს კი ალბათ მაინც არ მოუწევს მწვრთნელისთვის ბოდიშების ხდა, თუ, რა თქმა უნდა, ინგლისს საზეიმო ექნება ამ საღამოს. ამის დასამტკიცებლად ქეთი თავად ამბობს — „მწვრთნელს მშვიდად ველაპარაკე. ბევრ რამეში დავეთანხმე. აქ იმაზე არ არის ლაპარაკი, მაიკ ქეთი მოიგებს თუ არა ჩემპიონობას. ჩვენ ამდენი ხანია, ვუდვორდის გეგმას მოვყვებით, ფინალამდე მოვსულვართ და მან უკეთ იცის.“

ავსტრალიაში გამგზავრების წინა ღამეს ვუდვორდმა ასე უთხრა მოთამაშეებს — „ზოგიერთი თქვენგანი ეგებ ერთხელაც ვერ გავიდეს მოედანზე. თუ ამის გამო თავს ვერ მოერევით და სხვასაც გუნებას წაუხდენთ, მაშინ ამ თვითმფრინავში ნუ ამოხვალთ.“

ბილეთი არავის დაუბრუნებია.

ამგვარი განწყობა უნდა შევადაროთ იმ სცენას, პოლ გესქოინმა რომ გაითამაშა მას შემდეგ, რაც გლენ ჰოდლმა მსოფლიოს ჩემპიონატზე მიმავალი გუნდის გარეთ დატოვა. გაზამ მაშინ სასტუმროს ოთახი დაარბია. ანდა უმჯობესია იმას შევადაროთ, თუ როგორ იქცევიან დღევანდელი ინგლისელი ფეხბურთელები, როცა ძირითადში ვერ ხვდებიან: ისინი ურეკავენ ადვოკატებს, აგენტებს, ჟურნალისტებს და სკანდალებს აწყობენ.

ეს ბიჭები უნდა მისცე ვუდვორდს, რომელიც ამბობს — „სპორტი სასტიკი საქმეა. აქ ყველაფერი თავიდანვე უნდა დადო თავის ადგილას.“

ცხონებული ბობი მური ამბობდა — „ასოციაციის წერილი რომ მომდის, გამოძახებული ხარო, სანამ ალფი არ დარეკავს, მაინც არ მჯერა, რომ ნაკრებში მიწვევენ.“ დღეს ეს მიწვევები ელექტროფოსტითაც იოლად გამოდის, მაგრამ ინგლისის სარაგბო გუნდში მიდგომა ისეთივეა, როგორიც ოდესღაც საფეხბურთოში იყო.

ჯონი უილკინსონმა რომ დღეს ყველა ბურთი შეაგდოს, მარტინ ჯონსონმა კი უებ ელისის თასი ასწიოს, რაიც ინგლისის უდიდესი იგამარჯვება იქნება უკანასკნელი 37 წლის განმავლობაში, არცერთ მათგანს არ ექნება დაბევებული ადგილი ვუდვორდის ხვალინდელ გუნდში.

ამიტომაც მოუწოდებს ინგლისური მედია ინგლისელ ერს:

„უქომაგეთ მიდლენდელ იომენებს, ანუ მორაგბეებს და შეარცხვინეთ ეს ქალაქელი პრიმადონები, ანუ ფეხბურთელები.“

დღეს, ცხადია, სიდნეიში იქნება უფლისწული ჰარიც, რომელმაც ინგლისელთა მიერ უელსელთა ძლევა ისე იზეიმა, რომ გაზეთებმა შეახსენეს, ამ სულელ ბიჭს უელსი სხვა ქვეყანა ხომ არ ჰგონია, მამამისი სწორედაც რომ უელსის პრინცია და თავად კი ბრიტანეთის უფლისწულიო. დღეს ჰარის სიხარულისთვის არავინ დასძრახავს.





ფინალი ორი დამრტყმელის ელტონ ფლეტლის და ჯონი უილკინსონის დუელი იქნება

| ავსტრალია | | | | | ინგლისი | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | მეტ როჯერსი | 27 | 18 | 182 | 85 | 15 | ჯოშ ლუისი | 26 | 17 | 180 | 89 |
| 14 | ვენდელ სეილორი | 29 | 18 | 191 | 107 | 14 | ჯეისონ რობინსონი | 29 | 27 | 173 | 83 |
| 13 | სტირლინგ მორტლოკი | 26 | 24 | 191 | 100 | 13 | უილ გრინვუდი | 31 | 46 | 193 | 96 |
| 12 | ელტონ ფლეტლი | 26 | 32 | 178 | 89 | 12 | მაიკ ტინდალი | 25 | 32 | 185 | 100 |
| 11 | ლოთე ტუკირი | 24 | 13 | 191 | 103 | 11 | ბენ კოენი | 25 | 34 | 191 | 100 |
| 10 | სტივენ ლარქემი | 29 | 64 | 188 | 86 | 10 | ჯონი უილკინსონი | 24 | 51 | 178 | 89 |
| 9 | ჯორჯ გრეგანი (კაპ) | 30 | 94 | 173 | 79 | 9 | მეტ დოუსონი | 31 | 56 | 178 | 87 |
| 8 | დევიდ ლაიონზი | 23 | 20 | 192 | 116 | 8 | ლოურენს დალალიო | 31 | 64 | 193 | 109 |
| 7 | ფილ ვუ | 24 | 20 | 180 | 99 | 7 | ნილ ბეკი | 34 | 65 | 178 | 92 |
| 6 | ჯორჯ სმიტი | 23 | 34 | 180 | 98 | 6 | რიჩარდ ჰილი | 30 | 62 | 189 | 104 |
| 5 | ნათან შარპი | 25 | 19 | 200 | 115 | 5 | ბენ კეი | 27 | 27 | 198 | 112 |
| 4 | ჯასტინ ჰარისონი | 29 | 21 | 203 | 110 | 4 | მარტინ ჯონსონი (კაპ) | 33 | 83 | 200 | 118 |
| 3 | ალ ბაქსტერი | 26 | 6 | 190 | 116 | 3 | ფილ ვიკერი | 27 | 37 | 191 | 125 |
| 2 | ბრენდან ქენონი | 30 | 23 | 188 | 108 | 2 | სტივ ტომფსონი | 25 | 23 | 188 | 117 |
| 1 | ბილ იანგი | 28 | 24 | 188 | 110 | 1 | ტრევორ ვუდნერი | 27 | 14 | 183 | 113 |
| | სათადარიგოები | | | | | | სათადარიგოები | | | | |
| 16 | ჯერემი პოლი | 26 | 43 | 184 | 105 | 16 | დორიან ვესტი | 36 | 21 | 180 | 102 |
| 17 | მეტ დანინგი | 24 | 1 | 182 | 115 | 17 | ჯეისონ ლეონარდი | 35 | 112 | 183 | 115 |
| 18 | დევიდ გიფინი | 30 | 49 | 198 | 115 | 18 | მარტინ კორი | 30 | 29 | 196 | 112 |
| 19 | მეტ კოკბეინი | 31 | 62 | 198 | 98 | 19 | ლუის მუდი | 25 | 23 | 193 | 105 |
| 20 | კრის ვიტეკერი | 29 | 18 | 179 | 82 | 20 | ქირან ბრაქენი | 32 | 51 | 180 | 84 |
| 21 | მეტ გითიუ | 21 | 9 | 178 | 82 | 21 | მაიკ ქეთი | 32 | 60 | 180 | 85 |
| 22 | ჯო როფი | 28 | 81 | 191 | 110 | 22 | იან ბალშოუ | 24 | 18 | 190 | 85 |
| | მწვრთნელი: ედი ჯონსი | | | | | | მწვრთნელი: კლაივ ვუდვორდი | | | | |

მსაჯი: ანდრე უოტსონი (სამხრეთ აფრიკა)

*ციფრების პირველ სვეტში მოცემულია მორაგბეთა ასაკი, მეორეში — კეპი, მესამეში — სიმაღლე, მეოთხეში — წონა*

## ევროლიგა
### პირველი ჯგუფური ეტაპი. III ტური. 19-20 ნოემბერი

# რუსულმა არმიამ სლოვენიელები დახვრიტა

**არცთუ** შორეულ წარსულში მოსკოვის-ცსკა და თბილისის „დინამო“ ტოლ-სწორად პაექრობდნენ. ახლა რომ ამ გუნდების მატჩი დაიგეგმოს, დინამოელებმა უარი უნდა თქვან თამაშზე, რადგან უეჭველად იმაზე უარესი დღე დაფდგებათ, რაც სლოვენიის ჩემპიონს, საკმაოდ მოწესრიგებულ და მებრძოლ „კრკას“ მოსკოვში შეემთხვა.

„ჩემს სამწვრთნელო კარიერაში ასეთი სირცხვილი არასდროს მიჭამია. რამდენჯერმე წამიგია ძალიან დიდი ანგარიშით, მაგრამ ასე? დუშან ივკოვიჩმა სარკეში ჩაგვახედა და თან გვაჩვენა, როგორ უნდა ნამდვილი კალათბურთის თამაში“ — სირცხვილით იწვოდა „კრკას“ თავკაცი პეტერ სკანსკი.

ცსკა-მ მართლაც დიდებულად ითამაშა, სლოვენიის ჩემპიონი 54 ქულით დაამარცხა, თან ისე, რომ მეტოქეს ოდენ 35 ქულა ჩააგდებინა. ასე რომ, დაემხო ევროლიგის ანტირეკორდი, ყველაზე ცოტა, 40 ქულა აქამდე „ლონდონ თაუერსს“ დაეგროვებინა 2 წლის წინ ვლადიმერ ბოისას „ოლიმპიასთან“.

სასაცილოა და, თავიდან სლოვენიელები 5:0 დაწინაურდნენ და უეჭველად მოგებაზეც ფიქრობდნენ. თუმცა მოულოდნელად ცსკა აფეთქდა, პირველი მეოთხედის დასრულებამდე მეტოქეს ერთადერთი ბურთი ჩააგდებინა და მერე ხომ საერთოდ გადაუარა ბალკანელებს. არმიელი გიორგი ცინცაძე 12-კაციან განაცხადში არ გახლდათ, თორემ მოედანზე ისეთი ცალფარა იყო გაჩაღებული, ივკოვიჩი მას უთუოდ ათამაშებდა.

პო ორტეზის განაცხადში კი იყო გიორგი მდივანი, მაგრამ რა ხეირი?! ევროჩემპიონ „ბარსელონასთან“ წაგებულ მატჩს მდივანმა სათადარიგო სკამიდან უცქირა და მისი ევროლიგური დებიუტი კვლავ გადაიდო.

ფაქტობრივად, არც ბენეტონელ მანუჩარ მარკოიშვილს უთამაშია. ტერორისტთა სამიზნედ ქცეულ სტამბოლში ჩასულმა „ბენეტონმა“ იოლად დაამარცხა მანამდე მძლავრი „ეფესი“, ქართველი კი წუთნახევრით გავიდა მოედანზე.

ერთადერთი ჩვენებური, რომელმაც ამ ტურში თამაშით გული იჯერა, ვლადიმერ ბოისაა. ვოვა „ოლიმპიას“ კაპიტანია და ყოველ მატჩშიც გვარიან დროს ატარებს მოედანზე. ამჯერად ბოისამ 36 წუთი ითამაშა და არცთუ უხეიროდ, ოლიმპიელებს კი ხელი მოეცარათ. ტურნირის 2 მოგებით დაწყების შემდეგ მათ გუშინწინ ლიუბლიანაში წააგეს „ულქერთან“.

**ირაკლი პერტაია**

### A ჯგუფი

**პო ორტეზი 79:83 ბარსელონა**
პო ორტეზი: პიეტრუსი (20)
*მდივანი სათადარიგო იყო*
ბარსელონა: ფუჩკა (17), ნავარო (15)

**ციბონა 85:80 აეკ**
ციბონა: გოლემაცი (17), რიმაჩი (17)
აეკ: ტაპუტოსი (22), ლოლისი (17)

**რომა 63:77 პარტიზანი**
რომა: მაიერსი (13)
პარტიზანი: ბრაუნი (17)

**ოლიმპია 82:91 ულქერი**
ოლიმპია: ბაზდარიჩი (15), ბოისა (36 წუთი, 13 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა)
ულქერი: ბუკერი (25), ტრაინა (19)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 3 | 3 | 0 | +23 | 6 |
| პარტიზანი | 3 | 2 | 1 | +21 | 5 |
| ულქერი | 3 | 2 | 1 | +6 | 5 |
| ოლიმპია | 3 | 2 | 1 | -5 | 5 |
| ციბონა | 3 | 2 | 1 | -11 | 5 |
| აეკ | 3 | 1 | 2 | -9 | 4 |
| პო ორტეზი | 3 | 0 | 3 | -7 | 3 |
| რომა | 3 | 0 | 3 | -18 | 3 |

### B ჯგუფი

**სიენა 80:71 უნიკახა**
სიენა: ვანტერპული (23)
უნიკახა: ბალოკი (11)

**ცსკა 89:35 კრკა**
ცსკა: ჰოლდენი (17), ბრაუნი (15)
კრკა: რიკერტი (7)

**ჟალგირისი 87:77 სკიპერი**
ჟალგირისი: სალენგა (21), საბონისი (18)
სკიპერი: მოტოლა (21), ვუიაჩიჩი (18)

**მაკაბი 97:75 პანათინაიკოსი**
მაკაბი: ბასტონი (21), პარკერი (15)
პანათინაიკოსი: ლაკოვიჩი (21), ბატისტე (17)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 3 | 3 | 0 | +70 | 6 |
| მაკაბი | 3 | 3 | 0 | +41 | 6 |
| ჟალგირისი | 3 | 2 | 1 | +8 | 5 |
| სიენა | 3 | 2 | 1 | +4 | 5 |
| სკიპერი | 3 | 1 | 2 | -10 | 4 |
| პანათინაიკოსი | 3 | 1 | 2 | -17 | 4 |
| უნიკახა | 3 | 0 | 3 | -27 | 3 |
| კრკა | 3 | 0 | 3 | -69 | 3 |

### C ჯგუფი

**ტაუ 92:77 ოლიმპიაკოსი**
ტაუ: მასიაუსკასი (19), კალდერონი (19)
ოლიმპიაკოსი: ბოკოვისკი (18), პარისისი (14)

**პამესა 87:72 ალბა**
პამესა: რიგოდო (25), ობერტო (16)
ალბა: კოლინზი (16), პეტროვიჩი (16)

**ეფესი 78:89 ბენეტონი**
ეფესი: პეკერი (17)
ბენეტონი: ნიკოლა (18), მარკოიშვილი (2 წუთი)

**ვილერბანი 65:77 შლიონსკი**
ვილერბანი: ჟიფა (16)
შლიონსკი: გრირი (21)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პამესა | 3 | 3 | 0 | +48 | 6 |
| შლიონსკი | 3 | 3 | 0 | +28 | 6 |
| ტაუ | 3 | 2 | 1 | +18 | 5 |
| ეფესი | 3 | 2 | 1 | +18 | 5 |
| ბენეტონი | 3 | 1 | 2 | -21 | 4 |
| ვილერბანი | 3 | 1 | 2 | -35 | 4 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 0 | 3 | -25 | 3 |
| ალბა | 3 | 0 | 3 | -31 | 3 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ახალ ცოცხს ტარი გასძვრა

— 20 ნოემბერი —

**ფინიქსი 96:89 ორლანდო**
ფინიქსი: მარბერი (14 ქულა, 11 პასი), ჯონსონი (12), მარიონი (16), სტუდემაიერი (12), უილიამსი (10); ვოსკული (13), ჩაბარკაპა (10), ჰარდევეი (7), გულიოტა (2), ვაიტი, ბარბოსა
ორლანდო: ლუ (14), ბოგანსი, მაკგრეიდი (20), გუდენი (13), ჰანტერი (7); ჰოვარდი (11), გირიჩეკი (10), დეკლერკი (6), დიალი (4), ჰარვი (4), გეინისი
*ფაჩულია სათადარიგო იყო*

**დალასი 95:92 სან ანტონიო**
დალასი: ნოვიცკი (26), უოლკერი (22)
სან ანტონიო: დანკანი (30)

აგონიაში მყოფი „ორლანდო მეჯიქი“ ვერც დოკ რივერსის ნაცვლად აღზევებულმა თავკაცმა ჯონი დევისმა გამოაცოცხლა. არა, ტრეისი მაკგრეიდი და კომპანია ახალი მწვრთნელის ხელში ოდნავ გამოცოცხლებულები კი ჩანდნენ, მაგრამ ვერც ამჯერად გატეხეს ნავსი. ფინიქსში მარცხი ფლორიდელებისთვის ზედიზედ მე-11 იყო.

დევისი შეეცადა, რაღაც შეეცვალა აჭრილ გუნდში. უპირველეს ლიდერს, ტრეისი მაკგრეიდის ვერ შეჰბედა და მეორე ლიდერი, ჯუონ ჰოვარდი გაამწესა სათადარიგოდ, მაგრამ ამ ცვლილებას კეთილდღეობა არ მოუტანია „მეჯიქისთვის“. ჰოვარდის ნაცვლად ხუთეულში დაწინაურებული ახალბედა კიტ ბოგანსი („ორლანდომ“ ეს ჯეელი დრაფტზე ზაზა ფაჩულიას მომდევნოდ, 43-ე ნომრად აიყვანა) 14 წუთი უქულოდ დარბოდა. დევისი მთელი 48 წუთი ეძებდა ოპტიმალურ ხუთეულს, სხვა ახალბედა რიის გეინისიც მოსინჯა, უხეირო დერიკ დიალიც, მაგრამ, როგორც ხედავთ, მაინც წააგო.

არ უთამაშია მხოლოდ „მეჯიქის“ მესამე ახალბედას, ზაზა ფაჩულიას.

რაც შეეხება „ორლანდოს“ ყოფილ მწვრთნელ დოკ რივერსს, ის იქ დაბრუნდა, საიდანაც „ორლანდოში“ მივიდა. დღეიდან დოკი ტელეგიგანტ ეიბისი-ზე ნბა-ს მატჩებს წაიყვანს.



ტაირონ ლუს და მის „ორლანდოს“ ვერც ახალი მწვრთნელის ჯონი დევისის დარიგებამ უშველა

*სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს ამბიცია არასდროს აკლდა, ეგაა, შემართება სეზონის ბოლომდე არ მიჰყვებოდა ხოლმე და ჩემპიონატსაც მოკრძალებული შედეგით ასრულებდა. თსუ-ს მწვრთნელი* **გია ჯავახიშვილი** *ამის ფინანსური გარანტიის უქონლობით [illegible]. სტუდენტებს საკმაოდ მყარი გარანტია [illegible] თსუ-ს ბევრისშემძლე შემადგენლობა და ასეთივე სპონსორი „კოკა-კოლა“ ჰყავთ, თუ მათ გეზს არ გადაუხვიეს, ჯავახიშვილის გუნდს მართლაც ძალუძს...*

# სპონსორს რა დალევს?
## კოკა-კოლამ სტუდენტებს ჩემპიონობა მოაწყურა



...ჩემპიონობა? რატომაც არა, ჩვენს გუნდს ამის პოტენცია ნამდვილად გააჩნია — გვეუბნება გია ჯავახიშვილი — მთავარია, სათანადოდ მოვემზადოთ, სწორი ტაქტიკა შევარჩიოთ, შევთამაშდეთ და ჩემპიონობაც შესაძლებელია.

**— თსუ ზედ სეზონის წინ შეიკრიბა. გუნდის შესაკვრელად სერიოზული მომზადება გმართებთ. ზამთრის არდადეგებზე შეკრებას თუ გეგმავთ?**

— აუცილებლად. საზღვარგარეთ ვაპირებდით შეკრებას, ეს უკვე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ვეღარ ვასწორებთ, თებერვალში საქართველოს თასზე გვინდა თამაში. ამიტომაც სადმე ახლოს, ბაკურიანში, ანაც გუდაურში შევიკრიბებით.

**— ჩანს, კომპანია „კოკა-კოლა“ სერიოზულად გიდგათ გვერდში...**

— რა თქმა უნდა, ამ კომპანიის პრეზიდენტი, ბატონი თემურ ჭყონია ყველაფერში გვეხმარება, მისი სახით ჩვენს გუნდს ძლიერი სპონსორი გამოუჩნდა.

**— ხომ არ აპირებთ გუნდის სახელწოდებაში თქვენი სპონსორის სახელის შეტანას, თუნდაც ისე, როგორც, ვთქვათ, „სტუ-ჯეოსელია“?**

— არა, ჩვენს გუნდს თსუ ერქმევა.

**— მაისურებზე მაინც არ დაიწერთ „კოკა-კოლას“, საიდანმე ხომ უნდა ჩანდეს, რომ ეს კომპანია გპატრონობთ?**

— სადმე გინახავთ, რომ რომელიმე გუნდს მაისურებზე „კოკა-კოლა“ ეწეროს? არადა, ეს კომპანია მსოფლიოში მრავალ გუნდს სპონსორობს. „კოკა-კოლას“ მესვეურებს ეტყობა, ასეთი პოლიტიკა აქვთ. ბატონმა თემურ ჭყონიამაც ასე გადაწყვიტა. მაისურაზე მხოლოდ თსუ გვეწერება.

**— დაფინანსება, ცხადია, უნივერსიტეტიდანაც გექნებათ...**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ვინ მეტს გაიღებს, ნამდვილად არ ვიცი. მენეჯმენტის შესახებ შეგიძლიათ ჩვენს პრეზიდენტს ბატონ მიშა ახვლედიანს დაეკითხოთ.

**— თსუ ყოველთვის რიხით იწყებდა სეზონს, მაგრამ საბოლოოდ შედეგს ვერ აღწევდა...**

— ეს იმის ბრალი იყო, რომ სათანადო ფინანსური მხარდაჭერა გვაკლდა. ახლა კი ეს პრობლემა აღარ გვაწუხებს, რისთვისაც თემურ ჭყონიას დიდ მადლობას ვუხდი.

**— საჩემპიონო გუნდს კარგი მოსამზადებელი პირობები უნდა ჰქონდეს. უნივერსიტეტის დარბაზში აპირებთ ვარჯიშს?**

— დღეს ვეღარ იცნობთ ჩვენს დარბაზს. კაპიტალური რემონტის შემდეგ ჩვენს გუნდს ყველანაირი პირობა ექნება მოსამზადებლად. საშხაპეები, გათბობა, სატრენაჟოროები... მოკლედ, არაფერი გვაკლია. დღე-დღეზე ფარებსაც დავამონტაჟებთ, ახალ პარკეტსაც დავაგებთ და თსუ-ს დარბაზი ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი იქნება საქართველოში.

**— თსუ-ს საკმაოდ ყველაზე დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავს, თუმც ამ მხრივ პრობლემას ალბათ თქვენც უჩივით...**

— კახა შენგელია დიდი ძალაა ჩვენთვის, მისი ხეირიანი შემცვლელი კი არ გვყავს. ალბათ ცენტრს პოზიციაზე გვიჭირს ყველაზე მეტად. ყოველ შემთხვევაში, უკანა ხაზში პრობლემა არ გვაქვს — დავით თორთლაძე, ირაკლი მაისურაძე, გიორგი მარხვაშვილი, ირაკლი საყვარელიძე...

**— მალე ალბათ ლევან ქარაბაკიც შემოგიერთდებათ...**

— ლევანი უკვე ვარჯიშობს ჩვენთან. ის გადაღლილია და ტრავმაც აწუხებს. თუ სამედიცინო გამოკვლევას წარმატებით გაივლის, ჩვენთან ითამაშებს.

**— წლეულს რამდენიმე თანაბარი გუნდია, თქვენ მაინც რომელს მიიჩნევთ მთავარ კონკურენტად?**

— ყველას ანგარიშს ვუწევ, მაგრამ მაინც „დინამო“ მიმაჩნია ყველაზე ძლიერად.

**ირაკლი პერტაია**

## ჩოგბურთი

# ფედერაციის თასი

## ნახევარფინალი

### რუსეთი 2:3 საფრანგეთი

ანასტასია მისკინა — მარი პირსი 4:6, 7:6 (7:2), 7:5
ვერა ზვონარიოვა — ამელი მორესმო 2:6, 2:6
მისკინა, ნადია პეტროვა — ემილი ლუა, სტეფანი კოენ-ალორო 6:3, 1:6, 6:3
ზვონარიოვა — მარი პირსი 4:6, 6:3, 3:6
მისკინა — მორესმო 7:6 (7:3), 3:6, 4:6

### ბელგია 1:4 აშშ

კირსტენ ფლიპკენსი — მეგან შონესი 7:6 (7:4), 6:7 (8:10), 7:9
ელს კალენსი — ლიზა რეიმონდი 2:6, 1:6
ელკე კლაისტერსი, კაროლინ მაესი — რეიმონდი, მარტინა ნავრატილოვა 1:6, 4:6
კლაისტერსი — რეიმონდი 2:6, 1:6
კალენსი — შონესი 6:3, 7:6 (7:5)

# მასკვა ფრანცუზკამ ოტდანა

## რუს გოგონებს ბოროდინო მოუწყვეს

**რუს გოგონებს** ვერც შინაურმა კედლებმა უშველა და ვერც მათი თითქმის გამოთაყვანებული პრეზიდენტყოფილის ბორის ელცინის მხარდაჭერამ. ოცდაათსმიტანებულმა ფრანგმა ქალებმა დამაჯერებლად იჩოგნავეს და რუს კაცთაგან მათი კაცების შარშანდელ დევისფინალში ძლევის მაგიერ დაშხოშიანი რევანშიც აიღეს.

გადამწყვეტი მატჩის მოგება ბედმა მარი პირსს არგუნა, ვისაც ფედთასზე 1997 წლის ფინალის შემდეგ აღარ ეთამაშა. ავსტრალიისა და საფრანგეთის ღია პირველობათა ოდინდელმა გამარჯვებულმა პირველ დღესაც რიგიანად იჩოგნავა და ანასტასია მისკინას მოსადრეკად სულ ცოტა დააკლდა. მეორე დღეს კი უკვე მეტი სიმშვიდით გაირჯა და ელენა დემენტიევას ნაცვლად გამწესებული ვერა ზვონარიოვას 19-წლიანი სიქორფე თავის 29-წლიანი გამოცდილებით გადაწონა.

ფრანგთა დანარჩენი ორი მოგება ამელი მორესმოს ანგარიშზეა — მან პირველ დღეს ზვონარიოვას გადაუარა, ხოლო მერე არც მასპინძელთა ლიდერ მისკინას შეპუებია.

ერთი სიტყვით, მანამდე არ აუდგათ რუს ქალებს გვერდები, სანამ ამელი მორესმოსა და მარი პირსის დარ მძიმეწონოსნებს ვერ მოერიონ.

რაც შეეხება მეორე წყვილს, იქ უდავო გმირი ლიზა რეიმონდი გამოდგა, ვინაც უწლოვან ბელგიელთაგან ჯერ ელს კალენსს აჯობა, ხოლო გადამწყვეტ შეხლაში — ელკე კლაისტერსს, სულ ბოლოს კიუკვე სიაფანდ საწყვილოსნო მოგებაშიც დაიდო წილი, სადაც — სხვათა შორის — მის გვერდიგვერდ ჩოგანი 47 წლის მარტინა ნავრატილოვამაც აქნია.

ამგვარად — თავის 38-ე საფედთასო მატჩში 38-ვე გამარჯვების მომხვეჭი ნავრატილოვა ამ 40-წლოვანი ტურნირის უხნესი ქალმეჩოგნე შეიქნა.

ფინალი მოსკოვშივე, ამ შაბათ-კვირას გაიმართება.

**ლევან ქელაურაძე**

## ჰოკეი

# რეგულარული ჩემპიონატი



ოტაველმა კრის ნილმა და კაროლინელმა ჯესი ბულერაისმა ერთმანეთი გვარიანად დაზილეს

20 ნოემბერი

| | |
|---|---|
| **ოტავა 6:1 კაროლინა** | **ფილადელფია 3:1 მინესოტა** |
| *1:1 5:0 0:0* | *0:0 3:1 0:0* |
| **ტამპა 3:2 აილენდერსი** | **ედმონტონი 3:2 კალგარი** |
| *2:0 0:0 1:2* | *1:1 2:0 0:1* |
| **ბოსტონი 3:2 ვაშინგტონი** | **ვანკუვერი 3:2 ჩიკაგო** |
| *2:0 0:1 1:1* | *0:2 1:0 1:0 1:0* |
| **კოლუმბუსი 3:0 დეტროიტი** | **კოლორადო 4:3 რეინჯერსი** |
| *1:0 1:0 1:0* | *2:0 2:2 0:1* |

## ძალოსნობა

# არა არს უმძიმეს სიტყვისა

## ბულგარელებს შტანგაზე დიდი [illegible]




ზლატან ვანევი გიორგი ასანიძეს ორი წლით ჩამოშორდება

**ძალოსნობის** საერთაშორისო ფედერაციამ (IWF) კანადაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე დოპინგ-კონტროლზე ჩავარდნილ სამ ბულგარელს სასტიკი განაჩენი გამოუტანა. მსოფლიოს ჩემპიონები — გეორგი მარკოვი (77 კგ) და ზლატან ვანევი (85 კგ) ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. ოლიმპიურ ჩემპიონ გალაბინ ბოევსკის (69 კგ) კი კარიერის ნაადრევად დასრულების შესახებ ამცნეს. გუნდურ სამეულზე მეოცნებე ბულგარელებმა მძიმე დარტყმა ჯერ კიდევ სასჯელის ვადის გაგებამდე გააპროტესტეს და ჩემპიონატის დასრულების შემდეგ IWF-ის წინააღმდეგ სარჩელის შეტანაც დაუგეგმავთ, მაგრამ ალბათ ეს ველარაფერს შეცვლის. მანამდე ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრები განახევრებული შემადგენლობით შეეცდება, რაც შეიძლება მეტი ოლიმპიური საგზურის მოპოვებას. ბულგარელები თუკი 3 ლიცენზიას მაინც აიღებენ, მომავალი ევროპის ჩემპიონატისთვის სალიცენზიო ბრძოლას ავტომატურად ჩამოსცილდებიან და ბოლოს [illegible] მომლოდინე ქართულ გუნდს [illegible] აღარ დააწვებიან.

ვანკუვერული ტურნირი ჯერ არ დასრულებულა. ძნელია, იმის გადაჭრით მტკიცება, რომ ბულგარეთი გუნდურში ოცეულში მაინც შევა, მაგრამ გუშინ მილენ დობრევის მიერ 94 კილოგრამში მოგებულმა ოქრომ ეს შანსი რეალური გახადა. მეორე-მესამე ადგილებიც ევროპელებმა გაინაწილეს. თურქმა მეჰმეთ ილმაზმა და მოლდოველმა ვადიმ ვაკარჩუკმა ერთნაირი სიმძიმეები დაძლიეს, თუმცა პირადი წონის ხარჯზე ვერცხლი ილმაზს ერგო.

პირადმა წონამ გადაწყვიტა საპრიზოების ბედი 77 კილოგრამშიც. ამ შემთხვევაში თურქებს ნაკლებად გაუმართლათ. რეიჰან აბაჩიოღლუმ წინ სომეხი გევორქ დავთიანი გაუშვა. ჩემპიონობა კი 357,5 კილოს ამწევმა გამოცდილმა ირანელმა მუჰამედ ნეჰადმა იზეიმა. სომეხმა ძალოსანმა ერთი ბრინჯაოს მედალი გიორგი ასანიძის წონაშიც (85 კგ) მოიგო, მაგრამ ჩვენმა მეზობლებმა ამით ვერაფერი იხეირეს. რაკი ორწლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებით დაბრუნებული სერგო ჩახოიანი ავსტრალიის დროით გამოდის. იგი 5 კილოთი ჩამორჩა რუმინელ ვალერიუ კალანჩას, რომლის მიერ დაძლეული 382,5 კგ ოქროსთვის საკმარისი აღმოჩნდა, რაც საკმაოდ დაბალ შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ. შარშან გიორგი ასანიძემ ვარშავაში 385 კილო ასწია, მაგრამ ეს მხოლოდ ვერცხლისთვის ეყო. ვანკუვერული მეორე ადგილით ჩინელმა იუან აიციუნმა გაიხარა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**77 კგ**

1. მუჰამედ ნეჰადი (ირანი) — 357,5 კგ (155+202,5)
2. გევორქ დავთიანი (სომხეთი) — 355 კგ (160+195)
3. რეიჰან აბაჩიოღლუ (თურქეთი) — 355 კგ (160+195)

**85 კგ**

1. ვალერიუ კალანჩა (რუმინეთი) — 382, 5 კგ (167,5+215)
2. იუან აიციუნი (ჩინეთი) — 382,5 კგ (170+212,5)
3. სერგო ჩახოიანი (ავსტრალია) — 377,5 კგ (172,5+205)

**94 კგ**

1. მილენ დობრევი (ბულგარეთი) — 405 კგ (185+220)
2. მეჰმეთ ილმაზი (თურქეთი) — 400 კგ (180+220)
3. ვადიმ ვაკარჩუკი (მოლდოვა) — 400 კგ (177,5+222,5)

## ავტორბოლა

# მონტოიამ დროს გაუსწრო და უილიამსს გადაუსწრო

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**სამიოდ** დღეში მეფორმულეებს თვენახევრიანი შვებულება დაუმთავრდებათ და მომავალი სეზონისთვის მზადებას შეუდგებიან. პილოტები პირველ სატესტო ორკვირეულს ცხადია, ევროპაში ყველაზე „თბილ", ესპანურ ტრასებზე ჩაატარებენ.

დღე-დღეზე ალბათ საგაისო, ჩემპიონატის კალენდარიც საბოლოოდ დადგინდება და საჯინიბოთა შემადგენლობებშიც ბევრი რამ გაირკვევა.

ვითარება ჯერ მხოლოდ შვიდ გუნდშია ნათელი. „იაგუარში" ერთი, „ჯორდანსა" და „მინარდიში" კი ორივე ადგილები ისევ ვაკანტურია. სხვათა შორის, „იაგუარში" ავსტრალიელ მარკ ვებერის მოსალოდნელ მეწყვილედ BAR-იდან მოხსნილ კანადელ ჟაკ ვილნევს ასახელებენ. ოღონდ „მწვანე კატების" შემადგენლობაში ადგილის ყიდვა მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონის სპონსორებს ხუთი მილიონი დოლარი დაუჯდებათ.

დიდი ხმაურია ატეხილი არა საგაისო, არამედ უფრო შორეულ, 2005 წლის ტრანსფერზე. წლევანდელი სეზონის გასრულებამდე კარგა ხნით ადრე გაჩნდა ჭორი, „მაკლარენი" ხუან-პაბლო მონტოიას ეკურკურებაო. დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას — გარიგება შედგა, „უილიამსის" კოლუმბიელი პილოტი „ვერცხლისფერების" საჯინიბოში შოტლანდიელ დევიდ კულჰარდს შეცვლის.

28 წლის ხუანმა, რომელიც წლეულს საბოლოოდ მესამე ადგილზე გავიდა და ჩემპიონობის შანსიც კი ჰქონდა, აღნიშნა, მართალია, „უილიამსში" ჩემი მდგომარეობით სავსებით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ვთვლი, რომ „მაკლარენში" უფრო მეტს მივაღწევო. ამბობენ, გადასვლა იმანაც დააჩქარა, რომ კოლუმბიელს ათ მილიონ დოლარს გადაუხდიან, რაც მის უილიამსურ ხელფასზე სამჯერ მეტია.

„უილიამსის" ბოსები სერ ფრენკ უილიამსი და პატრიკ ჰედი ცხადია, უკმაყოფილოები არიან „მაკლარენის" ხელმძღვანელობით, რომელმაც კონკურენტს ასეთი მაღალი დონის პილოტი კონტრაქტის გასრულებამდე ერთი წლით ადრე წაართვა. მიმომხილველთა აზრით, ეს გარემოება უარყოფითად იმოქმედებს როგორც „უილიამსთან" მონტოიას ურთიერთობაზე, ასევე ჩემპიონის ტიტულისთვის მის ბრძოლაზე.

იმავე ჰედმა განაცხადა, რომ უკვე დაიწყეს მონტოიას შემცვლელზე ფიქრი და კანდიდატთა შორის მარკ ვებერი, ჯანკარლო ფიზიკელა და რუბენს ბარიკელო დაასახელა. თუმც არც ბარტერული გაცვლაა გამორიცხული, ანუ „უილიამსის" საჭესთან 2005 წელს კულჰარდი ვიხილოთ.

**გია ახალაძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge